# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ორშაბათი, 18 მარტი. 2024 წ. №32 (9712) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


თეიმურაზ ქორიძე:



## როზნერის სინდრომი ქართულ ოპოპოლიტიკაში

③

წინ – წინაპარებისკენ



6 7

საპარტაკ ქობულია:

## ვარლამ ჩურაძე – უსამართლოდ მივიწყებული ჭეშმარიტი შემოქმედი



## დაივიწყე, თუკი რამ ჩემგან შეგხვდა საწყენი!..



4

ნიკანორ სომელია

დავით კაკაბაძე



10

## თავისუფლებასთან წილნაყარი

## პუტინი მზად არის, გამოიყენოს ბირთვული იარაღი!



8

ჯო ბაიდენი:

## პუტინი ყასაბია!

8



გივი ჯახუა

## დედა – შვილთა მრავალთა...



5

# ირაკლი კობახიძე ილჰამ ალიევს შეხვდა

**16 მარტს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანის რესპუბლიკას ეწვია.**

ბაქოს ჰეიდარ ალიევის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში საქართველოს მთავრობის მეთაურს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი ალი ახმედოვი და სხვა ოფიციალური პირები დახვდნენ.

საქართველოს დელეგაციაში, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს, არიან პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი **ლევან დავითაშვილი** და საგარეო საქმეთა მინისტრი **ილია დარჩიაშვილი.**

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს შეხვდა.**

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ცნობით, ზაგულბას სასახლეში პირისპირ შეხვედრისას ლიდერებმა ხაზი გაუსვეს ორი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორობის მაღალ დონეს. აღინიშნა სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში, მჭიდრო თანამშრომლობა.



პრემიერმა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. ხაზი გაესვა რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის მნიშვნელობას. მთავრობის მეთაურმა დაადასტურა მზადყოფნა, საქართველომ მომავალშიც განაგრძოს წვლილის შეტანა ამ პროცესში.

ლიდერებმა პირისპირ შეხვედრისას განიხილეს ერთობლივი მასშტაბური სტრატეგიული პროექტები და თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების პერსპექტივა არაერთ, მათ შორის სატრანსპორტო და ენერგეტიკულ, სფეროში. პირისპირ შეხვედრის შემდეგ აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა საქართველოს მთავრობის მეთაურს დელეგაციის წევრებთან ერთად ოფიციალურ სადილზე უმასპინძლა.

## ილჰამ ალიევი:

## მოხარული ვარ, რომ პრემიერად დანიშვნის შემდეგ, ირაკლი კობახიძემ მყისიერად გადაწყვიტა აზერბაიჯანში ჩამოსვლა

**„უპირველეს ყოვლისა, ბატონო პრემიერ-მინისტრო, მთელი გულით გილოცავთ და მოგესალმებით აზერბაიჯანში. ძალიან მიხარია, რომ თქვენი პრემიერ-მინისტრად დანიშვნის შემდეგ, მყისიერად გადაწყვიტეთ აზერბაიჯანში ჩამოსვლა და მადლობას გიხდით ამისთვის. ამასობაში, კიდევ ერთხელ, ჯერ გილოცავთ პრემიერ-მინისტრად დანიშვნას.**

**ჩვენ ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ამ ვიზიტს. ორი დამოუკიდებელი ერის ლიდერებმა ბევრ საკითხზე ვისაუბრეთ პირისპირ შეხვედრაზე. ჩვენ ერთმანეთის გვერდით ვდგავართ, ვართ მეგობარი, მოძმე ქვეყნები. ძალიან დიდი ფესვები აქვს ჩვენს მეგობრობას, ჩვენი ხალხის მეგობრულ და კეთილგანწყობილ ატმოსფეროს ცხოვრებაში. აი, ასეთ მყარ საფუძველზე აიგო და აშენდა ჩვენს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა“,** – განაცხადა **ილჰამ ალიევმა** საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძესთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე.

## ირაკლი კობახიძე:

## აზერბაიჯანთან გვაქვს პოლიტიკური, ეკონომიკური თანამშრომლობის მაღალი დონე, ჩვენთვის მთავარია, კიდევ უფრო გავაღრმაოთ თანამშრომლობა

**„ჩემთვის დიდი პატივია, რომ პრემიერ-მინისტრის რანგში პირველად ვიმყოფები აზერბაიჯანის რესპუბლიკაში. მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის, რომ ამ პოზიციის დაკავებიდან მალევე შემდგარიყო ეს ვიზიტი აზერბაიჯანში. მინდა, მადლობა გადავუხადო პრეზიდენტ ალიევს გულთბილი მასპინძლობისთვის.**

**პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ბრძანა, რომ ჩვენს ქვეყნებს, ხალხებს აკავშირებთ მრავალსაუკუნოვანი, ისტორიული მეგობრობა და რა თქმა უნდა, სწორედ ეს უდევს საფუძვლად სტრატეგიულ პარტნიორობას ჩვენს ორ სახელმწიფოს შორის. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ურთიერთობები ზუსტად ამ სულისკვეთებით გაგრძელდება.**

**დღეისთვის გვაქვს ძალიან მაღალი დონე, როგორც პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თანამშრომლობის, ასევე გვაქვს კარგი დინამიკა ამ ურთიერთობებში. ჩვენთვის მთავარია, შევინარჩუნოთ ეს დინამიკა, კიდევ უფრო გავაღრმაოთ ურთიერთობები და თანამშრომლობა ჩვენს ქვეყნებს შორის. მინდა, მადლობა გადავუხადო აზერბაიჯანს, პრეზიდენტ ალიევს ჩვენი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ძალიან მყარი მხარდაჭერისთვის. დღეს ამ მხარდაჭერის კიდევ ერთხელ გამოხატვისთვის. საქართველო ყოველთვის იყო აზერბაიჯანის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ძალიან მყარი მხარდამჭერი“,** – განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

ამასთან, როგორც კობახიძემ განაცხადა, ილჰამ ალიევთან პირისპირ შეხვედრაზე საუბარი იყო გლობალურ-პოლიტიკურ პროცესებზე და რეგიონში მიმდინარე პროცესებზე.

# შავი ზღვა, ცვლილებები რეგიონში: რაზე ისაუბრეს ქართველმა, თურქმა და აზერბაიჯანელმა მინისტრებმა ბაქოში

**რეგიონის ქვეყნებს გაუჩნდათ რეალური შესაძლებლობა, გარდაქმნან სამხრეთ კავკასია მშვიდობის, სტაბილურობისა და საერთო კეთილდღეობის ზონად. ამის შესახებ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰაკან ფიდანმა ბაქოში აზერბაიჯანის, თურქეთისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრების მე-9 სამმხრივი შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

მინისტრის თქმით, სამმხრივი შეხვედრების მექანიზმი, რომელიც აგებულია კეთილმეზობლური ურთიერთობებისა და ისტორიული მეგობრული კავშირების საფუძველზე, წარმოადგენს უნიკალურ პლატფორმას საერთო ინტერესებისა და პრობლემების განსახილველად. მისი თმით, რეგიონში პოზიტიური ცვლილებები მოხდა – **„30-წლიანი ოკუპაციის შემდეგ აზერბაიჯანმა აღადგინა ტერიტორიული მთლიანობა და საქართველომ მიიღო ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი“.**




თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ მინისტერიალზე განიხილეს რეგიონში არსებული ახალი ვითარება და თანამშრომლობის გაფართოების გზები. მისი თქმით, მხარეები შეთანხმდნენ თურქეთის წარმატებული თანამშრომლობის გაღრმავებაზე აზერბაიჯანთან და საქართველოსთან ენერგეტიკისა და კომუნიკაციების სფეროში, გაცვალეს მოსაზრებები.

მინისტრის თქმით, მოლაპარაკებებზე ხაზი გაესვა ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის სრული დატვირთვით სწრაფ ამოქმედებას, ასევე შავ ზღვას:

**„ჩვენ შევეხეთ შავი ზღვის სტრატეგიულ მნიშვნელობას მთელი რეგიონისთვის, პირველ რიგში უსაფრთხოების, ეკონომიკის, ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სფეროებში. ჩვენ დავადასტურეთ ჩვენი სურვილი, ვითანამშრომლოთ, რათა გავაძლიეროთ თანამშრომლობა ჩვენს რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ, კონკრეტული პროექტების მეშვეობით“,** – განაცხადა **ჰაკან ფიდანმა.**

მან ხაზი გაუსვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის აუცილებლობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. მისი თქმით, შეხვედრაზე თურქულმა მხარემ კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს მთავრობის პოლიტიკის სრული მხარდაჭერა, რომელიც მიმართულია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისკენ. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა საქართველოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭება მიულოცა.

მან დაარწმუნა, რომ ანკარა გააგრძელებს თბილისის მხარდაჭერას ევროატლანტიკურ პოლიტიკურ და უსაფრთხოების სტრუქტურებში შემდგომი ინტეგრაციის გზაზე. ცნობილია, რომ ახლო მომავალში ირაკლი კობახიძე გამართავს თავის პირველ შეხვედრებს პრემიერის რანგში აზერბაიჯანსა და სომხეთში.

## ტყის მართვისა და ბიომრავალფეროვნების სფეროში თანამშრომლობის შესახებ სამმხრივი მემორანდუმი გაფორმდა

**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ტყის მართვისა და ბიომრავალფეროვნების სფეროში თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი გაფორმდა.**

მემორანდუმს ხელი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ და საპატრიარქოს ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი) მოაწერეს. მემორანდუმი, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ეკლესიამონასტერთა მიმდებარე ტყის ფართობების დაცვის და მართვის სფეროში თანამშრომლობას ითვალისწინებს.

შეიქმნება ერთობლივი კომისია, რომელიც ტყის მართვისა და ბიომრავალფეროვნების სფეროში მდგრადი მართვის სისტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მჭიდრო თანამშრომლობას უზრუნველყოფს.

საპატრიარქოს ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ მემორანდუმის გაფორმებას ისტორიული ფაქტი უწოდა და აღნიშნა, რომ, როგორც მემორანდუმი, ასევე ერთობლივი კომისია უფრო გააღრმავებს და ნაყოფიერს გახდის თანამშრომლობას.

მემორანდუმის გაფორმების ღონისძიება საპატრიარქოში გაიმართა და მას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე კახა კაკაბაძე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, ასევე, ეროვნული სატყეო და დაცული ტერიტორიების სააგენტოების, გარემოსდაცვითი განათლებისა და ინფორმაციის ცენტრის და სამინისტროს უწყებაში შემავალი შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

## მაღალი ხარისხის მოსავლის მისაღებად საქმიანობა წინასწარ უნდა დავიწყოთ...

**საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეალიზაციო ობიექტების კონტროლი გაააქტიურა.**

სახელმწიფო კონტროლის პროგრამის ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით რეგისტრირებული 600-მდე ობიექტის შემოწმებაა დაგეგმილი. პრეპარატების ხარისხის დადგენის მიზნით, მიმდინარეობს ნიმუშების აღება. შემოწმების დროს, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასოფლო-სამეურნეო პრეპარატების წარმოების, დაფასოების, მარკირების, შეფუთვის, შენახვისა და რეალიზაციის პირობებს.

**„გააქტიურებული კონტროლის მიზანია უხარისხო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მცენარეთა დაცვის საშუალებების რეალიზაციის აღკვეთა. ამავდროულად, მაღალი ხარისხის მოსავლის მისაღებად, მნიშვნელოვანია ფერმერებმა დროულად ჩაატარონ აგროსამუშაოები, სწორად შეარჩიონ პრეპარატი და დაიცვან მისი გამოყენების დოზა და ვადები“,** – აღნიშნა სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის უფროსმა, **ნიკა მესხმა.**

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს შემოწმებული 600 ობიექტიდან 35 დარღვევა გამოვლინდა, 500-მდე გაიზარდა გამოსაკვლევი ნიმუშების რაოდენობა, საიდანაც 2 დარღვევა დადასტურდა.

# როზნერის სინდრომი ქართულ ოპოპოლიტიკაში



**ვისაც არ გახსოვთ, შეგახსენებთ, რომ ბატონი როზნერი გახლავთ სახელმწიფო გადატრიალებების დიდოსტატად აღიარებული ამერიკელი თეორეტიკოსი, ვინც უკვე რამდენიმე წელიწადია თავისი თვალშეუდგამი სიბრძნეებით უხვად და უშურველად ამარაგებს ქართულ ოპოზიციას. ვერ ვიტყვი, ამას უანგაროდ აკეთებს და მის დარიგებებს რაიმე შედეგები ახლავს-მეთქი, მაგრამ ქართული ოპოზიცია მისი ძვირადღირებული ქველმოქმედებით აშკარად კმაყოფილია. ასე რომ არ იყოს, სამშობლოს სიყვარულით საბოლოოდ დაბრმავებული „ვაშაძე-ხაბე და K“ ამერიკულ სარეკლამო კომპანიებს ასეულთასობით დოლარს ხომ არ გადაურიცხავდა!**

ეჭვად მანამდეც ვიცოდით, მაგრამ გასულ კვირაში გამოქვეყნებულმა სტატისტიკურმა მონაცემებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი პროპაგანდის დაფინანსებაში განსაკუთრებული გულუხვობით ბატონი ვაშაძე გამოირჩევა – თვით ხაზეიშვილის ნაცმოძრაობასაც კი გადაუსწრო! როცა ამით ჟურნალისტები დაინტერესდნენ, ვაშაძემ, – ჩემი ფულია, რატომ მითვლით, სადაც მინდა იქ დავხარჯავო! როზნერის თეორიის მიხედვით, ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად გამართლებულია აბსოლუტურად ყველა გზა – რევოლუცია, სახელმწიფო გადატრიალება, ქვეყნის უცხოურ სამხედრო კონფლიქტებში ჩათრევა, საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ძალადობა, გაუკუღმართებულ სექსუალურ ურთიერთობებსა და სამართალდარღვევებში მონაწილეობის პროპაგანდა, საქართველის სამართლებრივ სისტემაზე რომელიმე ქვეყნის (ან, თუნდაც, პიროვნების) კონტროლის დაწესება მოსამართლეთა კეთილსინდისიერების შემოწმების მიზნით (ვეტინგი). ამ უკანასკნელთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა ითქვას, რომ სრული სიცრუეა, თითქოს ჩვენგან ამას მოითხოვს ევროკომისიის ცხრა რეკომენდაცია საქართველოს ევროკავშირში გასაწევრიანებლად – არსად, არცერთ დოკუმენტში ასეთი რამ არ წერია.

ამიტომაც მოსწონს როზნერის თეორია დღევანდელ ქართულ ნაცოპოზიციას. და მართალიცაა – სხვანაირად, სააკაშვილის აწუკვე დაკუწულ-დაქუცმაცებული თვითმარქვია ოპოზიცია ხელისუფლებაში მისვლას კი არა, მასთან მიახლოებასაც ვერ მოახერხებს.

* * *

**პრეზიდენტ პუტინის განცხადებით, რუსეთი მზად არის უკრაინასთან სამშვიდობო მოლაპარაკების დასაწყებად გარკვეული პირობებით. ოღონდ ჯერ გაურკვეველია, რას ნიშნავს ეს „გარკვეული პირობები“. რაც ძალიან შემაშფოთებელია, პუტინმა თავის ინტერვიუში ისიც განაცხადა, რომ რუსეთი მზად არის ამ ომში ატომური იარაღის გამოსაყენებლად, თუ ამის აუცილებლობა დადგება. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ისიც გაურკვეველია, რა იგულისხმა პრეზიდენტმა ამ „აუცილებლობაში“. იმედია, ევროპა-ამერიკის ხელისუფლებები არ გაწირავენ კაცობრიობას, რეალურად გააანალიზებენ პუტინის სახიფათო განცხადებებს, დასკვნებს გამოიტანენ და უახლოეს მომავალში საშიშ მეტოქესთან საერთო ენასაც გამონახავენ.**

ვფიქრობ, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და მთლიანად, ევროპისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ევროკავშირის განცხადება სამხრეთ კავკასიაში მყარი მშვიდობის დამყარების ხელშეწყობისა და სომხეთ-აზერბაიჯანისთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე. არანაკლებ საინტერესო გახლდათ ამავე საკითხზე აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილხამ ალიევის განცხადებაც. ამ თემაზე ინტენსიური საუბრების წამოწყება, მათში სომხეთისა და აზერბაიჯანის ჩართულობა მოასწავებს, რომ ევროპა დაინტერესებულია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთლიანად სამხრეთ კავკასიის ევროპეიზაციით და რუსეთის გავლენისგან მისი გათავისუფლებით.

ზარემ გავიხსენოთ გასულ კვირაში საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტები რუმინეთში, ბელგიაში, საფრანგეთში, შვეიცარიის კონფედერაციაში, ლიხტენშტაინში; მაღალი დონის შეხვედრები ფინეთის, ნიდერლანდების, დანიის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, იაპონიის სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან. შეგვიძლია თამამად დავასკვნათ, რომ ბოლოდროინდელი ორმხრივი საერთაშორისო აქტივობები საქართველოს ავტორიტეტის ზრდაზე, ჩვენი ქვეყნის სერიოზულ პარტნიორად ჩამოყალიბებისაკენ სვლაზე მიუთითებს. ცალკე უნდა აღინიშნოს სამმხრივი შეხვედრა ბაქოში აზერბაიჯანის, თურქეთისა და საქართველოს უმაღლესი ხელისუფლებების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

**პუტინის რუსეთის ხვალინდელი დღის პროგნოზირება ერთობ უმადური საქმეა. თუმცა, ყველაფერი იმისკენ მიგვანიშნებს, რომ დადგება დრო, როცა რუსეთ-უკრაინის ომი დამთავრდება, სომხეთი და აზერბაიჯანი სადაო საკითხებს მოაგვარებენ, რუსეთ-საქართველოს პრობლემებიც გადაიჭრება და ყველა ერთად ევროკავშირის მრგვალ მაგიდას შემოვუსხდებით (მგონი, მშვენიერი სადღეგრძელო გამომივიდა!).**

* * *

**მთელი გასული კვირის განმავლობაში კვლავ გრძელდებოდა ზურაბ ადეიშვილის პერსონასთან დაკავშირებული აჟიოტაჟი. საქართველოს მთავრობამ მიმართა გერმანიას, ბელგიას და უკრაინას. შეგახსენებთ, ბრიუსელმა (ევროკავშირმა) ნორმალური პასუხის ღირსად არ გვცნო, ხოლო გერმანიამ საქართველოს ამ განცხადებას თავიდან დეზინფორმაცია უწოდა და ამით ოპოხაბეს გული მოინადირა.**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიბარეს ევროკავშირისა და გერმანიის ელჩები. საქართველოს მთავრობის ასეთი აქტიურობა მიუთითებს საქართველოს ხელისუფლების თავდაჯერებულებაზე, რომ ევროპა ანგარიშს უნდა უწევდეს საქართველოს. იგი აღარ არის ის უმწეო ბიჭუნა, ვისაც შეიძლება ნებისმიერ დროს თავში წამოარტყა. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე პაპუაშვილის განცხადებაც ზუსტად ამაზე მიანიშნებდა. ამავე დროს, საქართველოს მთავრობამ უკრაინისაგან კიდევ ერთხელ ოფიციალურად მოითხოვა ამ ქვეყანას თავშეფარებული ქართველი კრიმინალების (ადეიშვილი, ლორთქიფანიძე, საყვარელიძე...) გადმოცემა.

უკრაინის მმართველი პარტიის ლიდერის, დავით არახამიას განცხადებით, უფრო ზუსტად, ულტიმატუმით, უკრაინა ითანამშრომლებს საქართველოსთან, თუ: 1. ციხიდან გაათავისუფლებენ მიხეილ სააკაშვილს; 2. საქართველო ბოიკოტს გამოუცხადებს რუსეთს; 3. საქართველო შეწყვეტს ავიარეისებს რუსეთთან.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ცინიკოსი არახამიას იმედად დარჩენილი ზელენსკის უკრაინა რუსეთზე გამარჯვებას საქართველოს ომში ჩათრევით იმედოვნებდეს. არც პრეზიდენტი ზელენსკი და არც სხვა უკრაინელი მაღალჩინოსნები სიტყვას არ ძრავენ ბელარუსზე, საიდანაც უკრაინაში რუსული ჯარები, იარაღი და სამხედრო ნაწილები დაუბრკოლებლად შეედინება. სამაგიეროდ, უკრაინიდან საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების იმედით შემოპარულ, მრავალი დანაშაულისთვის მსჯავრდებულ სააკაშვილზე მზრუნველობისთვის იცლიან.

**ვწუხვარ უკრაინელი ხალხის გამო, მაგრამ ბევრ სხვა რამესთან ერთად ესეც თვალნათლივ მიუთითებს, რომ ზელენსკი-არახამიას ხელისუფლებას უკრაინა და უკრაინელები ფეხებზე ჰკიდია. არც ომის დამთავრება ეჩქარება – ომი ხომ ფულია, წარმოუდგენლად დიდი ფული! თავად განსაჯეთ – მხოლოდ გასულ კვირაში, მხოლოდ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკრაინის დასახმარებლად 300 მილიონი დოლარი გამოუყო!**

ამავე დროს, ევროპარლამენტში მიმდინარეობს მოლაპარაკებები ევროკავშირის წევრი ღატაკი პარტნიორების დასახმარებლად და სხვა საჭიროებებისთვის მთლიანი შიდა პროდუქტის სამი პროცენტის გამოყოფაზე.

მეგობარ ევროპელებსა და მოძმე უკრაინელებზე განაწყენებულებმა შეგვიძლია თავი იმით ვინუგეშოთ, რომ გასულ კვირაში შეერთებული შტატების საზღვრის გადალახვა აუკრძალეს მრავალი დანაშაულისათვის ძებნილ კიდევ ერთ ქართველს, ბიუჯეტისა და პენსიონერების ძარცვით გამილიარდერებულ და ამ ფულით ქართული ოპოზიციის მკვებავ კეზერაშვილს. ამერიკული სპეცსამსახურების განცხადებით, ჰქონდათ ინფორმაცია, რომ ეს პატიოსანი ბატონი მსოფლიო მასშტაბით ფულის გათეთრების ერთ-ერთი მამა-მარჩენალია და შტატებშიც შავი ფულის გასარეცხად ჩადიოდა. საინტერესოა, რომ ამ ამბავს ქართველმა ოპოზიციონერებმა პრინციპულად წაუყრუეს.

* * *

**შეგვიძლია ტაში შემოვკრათ – ოპოზიციის დამსახურებით, გასულ კვირაში ნათელი მოეფინა ფასების ზრდის საიდუმლოს პირველადი მოხმარების საქონელზე. ბატონი ხაბე დაუზარებლად გაგვებზავნა მეზობელ თურქეთში, ესტუმრა იქაურ ბაზრობებს, შეიძინა პირველადი მოხმარების საქონელი და მისი ფასები მშობლიურს შეუდარა.**

რა თქმა უნდა, ინტუიციამ არც ახლა უმტყუნა – თურქული საბაზრო ფასები ჩვენსაზე იაფი აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, ხაბე-ოპოზიციის დასკვნაც შეუვალი და წყალგაუვალი გახლდათ: ფასებს ხელოვნურად აძვირებს „ოცნების“ ხელისუფლება და, რაც მთავარია, ამას აკეთებს ბიძინა ივანიშვილის მითითებით – რაც უფრო ძვირია საქონელი, მით მეტია ივანიშვილის შემოსავალი და მისი გავლენა ხელისუფლებაზე!

იხ. 5 გვ.





# დაივიწყე, თუკი რამ ჩემგან შეგხვდა საწყენი!..




**ქვეყანა მტკიცედ და უძრავად გაჩაჩხულა მოლოდინის რეჟიმში. ამ ლოდინს, კაცმა რომ თქვას, უბრალოდ ლოდინი კი არა, გააფთრებული ლოდინი ჰქვია.**

**ოპოზიციას, სძინავს თუ ღვიძავს, ოქტომბრის არჩევნები ელანდება. ოღონდ, თავს იმაშიც უტყუება, რომ ვაითუ გამარჯვებულმა არ გადააბიჯოს ნოემბერში. ეს საშინელი წარმოსახვა ამაოს ხდის მის არსებობას, ბღავილის სურვილს აღუძრავს, ჰოდა, კბილს კბილზე აჭერს, ხანჯალს ლესავს, ერთმანეთს უძმობილდებიან მტრები, ეს-ესაა შებმულ ნარინჯისფერ და მწვანე ჰალსტუხებს ცვლიან ნიკუტები — მელია და გვარამია.**

**გოლო დროს ნაციონალური მოძრაობის ნარატივში ძალიან გააქტიურდა ისეთი თემები, როგორებიცაა საქართველოს მოსახლეობის მატერიალური შეჭირვება, ხელოვნურად გაძვირებული ფასები საწვავზე, პურზე, მაკარონზე, ქინძსა და ოხრახუშზე... ამის საილუსტრაციოდ ნაცლიდერებს მეზობელ ქვეყნებშიც კი უწევთ მოგზაურობა საგაზრო ფასების შესასწავლად „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდებების დასამტკიცებლად.**

ჰოდა, სანამ უზადრუკი ლევან ხაბეიშვილი თურქეთის ბოსტნეულის ბაზარს სწავლობდა, სასტუმრო „შერატონში“ ნაციონალური მოძრაობის ყოფილმა თავმჯდომარემ ნიკა მელიამ და ტვ „მთავარი არხის“ ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ, როგორც იტყვიან, გვირგვინი იფსკვნეს — ახალი პარტია შექმნეს მელიას უსახელო და გვარამიას სახელიანი („ახალი“) პოლიტწარმონაქმნებისგან გოგლი-მოგლის ათქვეფით, მესამე ნიკას (მაჭუტაძის) ნაჩუქარი ნომრითა (4) და იდუმალი, გვარამიასეული სახელწოდებით.

ისე, უპრიანი ხომ არ იქნებოდა, ორი ნიკას პარტიის ნაცვლად „ახალს“ სამი ნიკას პარტიის სახელი შერქმეოდა, რატომ ტეხავენ მაჭუტაძეს, ვისზე ნაკლებმი წვლილი მიუძღვის?

არადა, უფრო წარმატებული არ იქნებოდა, სულაც მეოთხე ნიკა რომ დაემატებინათ ანსამბლ „ოთხი გიას“ კვალობაზე?

მამუკა მდინარაძემ ხატოვნად თქვა: ოპოზიციამ რაც არ უნდა იფხაკუნოს, ჩვენ ხომ ვიცით, რომ ნაცი ნაცია, კაცი კაცია და ქალი ქალიაო.

**ნიკა გვარამია უთუოდ გრძნობს მომენტის სიდიადეს და უჩვეულოდ დადინჯებული აცხადებს, მე მიყვარს საქართველო, მე მომწონს საქართველოო. ეს გვაიმედებს, რომ ღვინოში აღარ ჩაგვიფსამს, როგორც ადრე გვემუქრებოდა ხოლმე უგადრუკ ქართველებს.**

ნიკები იქნებ პოლიტიკური პერსპექტივით ვერა, მაგრამ აი გულითადი საუბრებით კი ახერხებენ რომელიმე დიდი მოკავშირის დაქამანდებას, მაგალითად, „ახალს“ ახლახან შეემატნენ გამარჯვების გარანტიები: ყოფილი მოსამართლე მაია კოპალეიშვილი, რომელიც პრეზიდენტის ადვოკატი იყო საიმპიჩმენტო სასამართლო პროცესზე, ხოლო წლების წინათ, ნაცების დროს პროკურორ ადეიშვილის მოადგილე გახლდათ (ოღონდ დღემდე არ ეუხერხულება ეს საჩოთირო ამბავი) და „ქართული ოცნების“ ყოფილი დეპუტატი პარლამენტში გედევან ფოფხაძე, ჰო, სწორედ ის — გრეხილცხვირიანი და მრუდესიტყვიანი. ასეთი რამდენიმე კიდევ რომ შეაბას ერთმა ან მეორე ნიკამ, ან ორივემ ერთად, ჩათვალე, რომ სულ ანტილოპა გნუსავით გადაახტებიან ბარიერსაც და მთელ საბაზისო ნაცმოძრობასაც.

„ახალის“ ნათლობაზე გვარამიამ დიდი დრო და ძალისხმევა მოანდომა პარტიის ლოგოსა და ფერების განმარტებას: მწვანე, როგორც ახლის დაწყების მაუწყებელი; ნარინჯისფერი— უზღვევი ენერგიის მიმანიშნებელი და თეთრი — სიწმინდის, ანუ არაკორუმპირებულობის სიმბოლო... ამიტომ იყვნენ გაყრონჭილები პრეზენტატორი ნიკები მომანდარინ-მოფორთოხლისფრო და მოჭაობისფრო ჰალსტუხებით, რომელთა გაცვლითაც შემდეგ ფიც-ვერცხლი ჭამეს.

**ეს ყველაფერი გავიგეთ, მაგრამ ერთი რამ ჯერ კიდევ გასარკვევია: ვისთან ექნება საგრძოლო ალიანსი „ახალს“? ვისთან და რა ფორმატში ითანამშრომლებენ მასთან შუაშისტები („ლელო“, „მოქალაქეები“, „გირჩი“ — ჯაფარიძე, „დროა“, „საქართველოსათვის“, „ხალხისთვის“...)? არა და არ დაადგა საშველი ერთიანი ოპოზიციის ჩამოყალიბებას (ლაპარაკია კონსტრუქციულ ოპოზიციაზე და არა მტრულ, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე მებრძოლ, შეურიგებელ მოწინააღმდეგე ძალაზე).**

ბუნებრივია, 5%-იან ბარიერს ყველა ვერ გადალახავს, ოპოზიციური ხმები გაიფანტება და... „ქართულ ოცნებასთან“ წავა. ამის მიუხედავად, თითქმის ყველა მკერდზე მჯიღს იბრაგუნებს, არჩევნებზე დამოუკიდებლად გავალო. არადა, ექსპერტებს რომ ჰკითხო, მათ, ვინც შუაშისტებში მოიაზრებიან, გაერთიანების შემთხვევაში წარმატებას შეიძლება მიაღწიონ.

იმის ნაცვლად, რომ საქმეს მიხედოს, გიორგი გახარია სინანულს მისცემია, სამწუხაროდ ჩემი ბრალიც არის, რომ დღეს საქართველოში ფუნქციონირებს ერთადერთი ინსტიტუტი და ამ ინსტიტუტს ჰქვია ივანიშვილი. სხვა ყველა ინსტიტუტი ფუნქციურად გაუქმებულია, დისფუნქციურიაო. „ნუ გვეტენებით!“ — შეუთვალა გახარიას გუნდმა მთელ პოლიტიკურ სპექტრს და 2024 წლის არჩევნებში მარტო ბრძოლა დააანონსა.

ყველასგან დამოუკიდებლად აპირებს საარჩევნო მარათონში მონაწილეობას ანა დოლიძე.

ნაცმოძრაობისა და „სტრატეგია აღმაშენებლის“ ტანდემი ნებისმიერ პროდასავლურ ძალასთან პარტნიორობისთვის მზადყოფნას გამოხატავს, ოღონდ, ამ პოლიტიკურ ჯგუფთან თანამშრომლობას თითქმის ყველა ერიდება.

ნაციონალების გარდა ყველა პროდასავლურ ოპოზიციურ პარტიასთან თანამშრომლობისთვის მზად არის ალეკო ელისაშვილის ერთი მუჭა „მოქალაქეები“.

**თავისას ერეკება პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი — ყველას ერთად უყრის თავს „ევროპული პლატფორმის“ ქოლგის ქვეშ. ამასთან, არც არასამთავროგო სექტორი ავიწყდება დამხმარე ძალად, ან იქნებ სულაც დამკვრელ ძალად. ოღონდ, ქალბატონი სალომე გადადგომას და არჩევნებში პირდაპირ ჩართვას არ გეგმავს. მან უკვე განაცხადა, საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე დავრჩები პოსტზეო.**

მაგრამ ყველას ასე როდი აქვს გარკვეული ხვალინდელი დღე. ცალკე ძალად შეკრული „ევროოპტიმისტები“ ხატია დეკანოიძე და რომან გოცირიძე ჯერჯერობით დაკვირვების პროცესში არიან. მსგავსად მოფიქრალი და მოყოყმანე ბევრია. მართალია, 5%-იან ბარიერს ბარე ორი პარტია ვერ გადალახავს, მაგრამ გამარჯვებაში ყველა დარწმუნებულია, ღმერთმა იცის, რის ხარჯზე და რის იმედად.

„ქართული ოცნება“ ოპოზიციის (შუაშისტურია, გარესტურია თუ ახლოსტურია) ვაინაჩრობას მშვიდად ადევნებს თვალს და კარგა ხანია დაიწყო შეხვედრები ამომრჩევლებთან. ისევ პირველსა სიტყვასა ზედა მოვიდეთ...

თუ მწვანეჰალსტუხიანი ნიკა გვარამიას განმარტებას გავითვლისწინებთ, რატომ ჰქვია მისი და ნიკა მელიას პირმშოს „ახალი“ და რით მოაწონებს იგი თავს პოტენციურ სიახლისტებს, ამის კონტურები უკვე გამოჩნდა: ჩვენო, ნიკამა, „ახალი“ ტუფტად როდი დავირქვითო, ჩვენთვის მიუღებელია ყველაფერი ძველი, დრომოჭმული, მთავარია კაცს პირდაპირ ყურებიდან გადმოსდიოდეს სიახლის გრძნობა...ამიტომ წარსულში დავტოვებთ წარსულს ყველა შეცდომითა და ყველა დანაშაულით, ახალი ცოცხი კარგად ჰგვისო.

მოდი და ნუ მიესალმები ასეთ ფერისცვალებას, ადამიანთა ასეთ მყისიერ გარდასახვას.




**და თვალწინ წარმოგიდგება ხატება: მტკვარში დგანან ნიკები, ერთი წელამდე, მეორე — მუხლამდე (თავიანთი აღნაგობის შესაბამისად), მხრებზე მტრედები უსხედან და უგრძეს რიგში მდგარ კაცებსა და ქალებს ამწყალობებენ, სხეულზე აგჯრად შემოკრულ ცოდვებს, როგორც თევზს ქერცლს, ისე ჩამოფხეკენ. წყლიდან ამოსული მიტევებულნი კანკალებენ უჩვეულობის, სიცივის, სიმსუბუქის, მიტევებულობის გამო, ოღონდ, ეს უჩვეულობა მალე ჩვეულებრივობა ხდება, ტანზე თანდათან ისევ ეხატებათ ქერცლი და ეშმაკეულობა...**

**ნიკები კი შეუჩერებლად ბუტბუტებენ ლოცვას, რომლის სიტყვებიც უაღრესად ღრმა და სხივმფინარეა: „დაივიწყე, თუკი რამ ჩემგან შეგხვდა საწყენი!“**

**ყოჩაღ, ბიჭებო!**

**ალეკო ასლანიშვილი**

# როზნერის სინდრომი ქართულ ოკოპოლიტიკაში

(მესამე გვერდიდან)

ხაზე, შე მართლა დიდო ლიდერო! მანდვე, საპარლამენტო დარბაზის მეზობელ მაგიდასთან ზის ოპოზიციონერი ეკონომიკის პროფესორი. სანამ რამე სიჩერჩეტეს გადმოაფრქვევდე, მიდი და ჰკითხე, რა და რატომ იწვევს ფასების ზრდას.

იმედია, იმის თქმასაც არ დაგამადლის, რომ ფასების ზრდა არ შეიძლება ხელს უწყობდეს მავანის გამდიდრებას, თუნდაც ეს „მავანი“ ბიძინა ივანიშვილი იყოს. „უკუღმა, ასინეთა, უკუღმა“ – რაც უფრო იაფია საქონელი, მით მეტია მისი გავრცელების არეალი და, შესაბამისად, მეტია მისი რეალიზაციით მიღებული შემოსავლები. იქნებ, მეგობარ პროფესორს ისიც ჰკითხო, ასე უღმერთოდ რატომ გაუფასურდა შენი სანატრელი თურქული ლირა!

**ამას კი ნაცმოძალი მეგობრები ნამდვილად ვერ გეტყვიან: ხუთსაუკუნოვანი დამოუკიდებლობის მქონე დიდი ოსმალეთის მემკვიდრე, ევროპის ერთ-ერთი უდიდესი ქვეყნის, თურქეთისა და 33-წლიანი სიმბოლური დამოუკიდებლობის მქონე, გარე და შინაური დაპირისპირებებით გატანჯული საქართველოს შედარება უვიცობის გარდა, არაკორექტულიცაა.**

* * *

**გასულ კვირაში გამოაცხადეს განაჩენი როინ შავაძის მკვლელობის საქმეზე - ორ ექსმიტანილს 12-12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. შეგახსენებთ, რომ ქართული არმიის სერჟანტი როინ შავაძე, ბინძური პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, სააკაშვილის სპეცსამსახურების (კუდი) თანამშრომლებმა სადისტურად აწამეს და მოკლეს (მოკლულს ზურგში 40 ტყვია ჰქონდა დახლილი) 2008 წლის აგვისტოში აჭარაში.**

ამ დანაშაულისათვის უკვე გასამართლებულია რამდენიმე პირი. აღსანიშნავია, რომ განაჩენი გამოიტანა არა მოსამართლემ, არამედ დაპირისპირებულ მხარეთა მიერ შერჩეულმა ნაფიც მსაჯულთა კოლეგიამ.

* * *

**პრემიერის მრჩეველი რუსეთის საკითხებში ზურაბ აბაშიძე გიორგი ქაჯაიამ შეცვალა. ტვ „პირველის“ აზრით, „თბილისში ფიქრობენ, რომ გიორგი ქაჯაია პოსტზე კარასინის (გრიგორი კარასინი, რუსი დიპლომატი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე 2005 წლიდან, – თ. ქ.) რეკომენდაციით დანიშნეს, რადგან ქაჯაია წლების განმავლობაში მოსკოვში მუშაობდა.**

ის რუსეთში ე. წ. პოლიტიკურ ელიტასთან დაახლოებული პირია. ხელმძღვანელობდა მოსკოვში მოქმედ საქართველოს ინტერესების სექციასაც. პრემიერის ახალი მრჩევლის რუსეთთან მჭიდრო კავშირები აჩენს ეჭვს, რომ კობახიძის მთავრობას რუსეთთან დაკავშირებით ახალი გეგმები აქვს და ოკუპანტ სახელმწიფოსთანაც თანამშრომლობის გაღრმავებას აპირებს.

„ტვ პირველის“ ლოგიკით თუ ვიხელმძღვანელებთ, ალბათ თვითონ კარასინი ამ თანამდებობაზე დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მითითებით დანიშნეს, რადგან წლების განმავლობაში დიდ ბრიტანეთში მუშაობდა და იქაურ პოლიტიკურ ელიტასთან დაახლოებული პირია!

ვფიქრობ, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა კარასინის ინტერვიუ რუსულ სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო TASS-თან. მისი სიტყვებით, „რუსეთი ქართველ პარტნიორებთან პრაგმატული დიალოგით და სრულფასოვანი ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის დაბრუნებით არის დაინტერესებული. ბოლო 11 წლის განმავლობაში ზურაბ აბაშიძესთან დიალოგით მიღწეული შედეგები კვლავ მოთხოვნადი იქნება“.

რახან საუბარი კრემლის მაღალჩინოსანს შეეხო, ბარემ პრეზიდენტი პუტინის ერთი განცხადებაც გავიხსენოთ. მისი სიტყვებით, რუსეთი მზად არის უკრაინასთან სამშვიდობო მოლაპარაკების დასაწყებად გარკვეული პირობებით. ოღონდ არ დაუკონკრეტებია, რას ნიშნავს ეს „გარკვეული პირობები“.

რაც ძალიან შემაშფოთებელია, პუტინმა თავის ინტერვიუში ისიც განაცხადა, რომ რუსეთი მზად არის ამ ომში ატომური იარაღის გამოსაყენებლად, თუ ამის აუცილებლობა დადგება. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ისიც გაურკვეველია, რა იგულისხმა პრეზიდენტმა ამ „აუცილებლობაში“. იმედია, ევროპა-ამერიკის ხელისუფლებები არ გაწირავენ კაცობრიობას, რეალურად გააანალიზებენ პუტინის სახიფათო განცხადებებს, დასკვნებს გამოიტანენ და უახლოეს მომავალში საშიშ მეტოქესთან საერთო ენასაც გამონახავენ.

**აი, ჩვენი სასამართლო კი ვერა და ვერ პოულობს საერთო ენას პატიმარ სააკაშვილთან. ჩემდა სამარცხვინოდ, არ ვიცი, რომელ ქვეყანაში შეიძლება ხდებოდეს მსგავსი რამ: სასამართლო განსასჯელს უსვამს კონკრეტულ კითხვებს კონკრეტულ საქმეზე, ის კიდე აკეთებს პოლიტიკურ განცხადებებს, სასამართლოს იყენებს საკუთარი პარტიისა და უმანკო პერსონის პოპულარიზაციისთვის. სასამართლო და მთლიანად საზოგადოება ამ მარაზმზე დუმს. და ასე გრძელდება უსასრულოდ.**

ერთი მოკრძალებული კითხვა ჩვენს სასამართლო ხელისუფლებას – ბოლოსდაბოლოს გაგვაგებინეთ, რით დაიმსახურა მკვლელმა და მძარცველმა სააკაშვილმა თქვენი ასეთი სიყვარული და პატივისცემა – რატომ არ ზის ციხეში, როგორც პატიმარი და რატომ აქვს ყველაფრის უფლება, რაც მოეპრიანება!?



**თეიმურაზ ქორიძე**

# დედა – შვილთა მრავალთა...



**საუკუნის კარიბჭესთან მიღწეულს კალამი ხელში ისევ ჩემმა ქალაქმა ამაღებინა.**

**როგორ არ უნდა გიხაროდეს მშიბლიური ქალაქის სიკეთე...**

აქვე არ შეიძლება არ ვთქვა, თითქმის მისი პირველი ხელმძღვანელიდან – ქალაქის ყველა თავკაცს ვიცნობდი, ზევრთან ვმეგობრობდი კიდეც. ამაში ჩემი პროფესია, ჟურნალისტობა მეხმარებოდა.

უკლებლივ ყველა მათგანი მამაკაცი იყო.

და აი, გამოჩნდა ქალბატონი, თანაც ოთხი შვილის დედა, რუსთავ-ქალაქს რომ დასდო პატივი და დიდებულ წინამძღოლად მოგვევლინა, თანაც ისეთად, მამაკაცს რომ შეშურდება.

მიუხედავად ასაკისა, მიყვარს, პოეტისა არ იყოს, „ჩემს ქალაქში ხეტიალი...“

და აი, სულ რაღაც ორ წელიწადში, რაც ქალაქის წინამძღოლად ნინო ლაცაბიძე დაინიშნა, თამამად შემიძლია განვაცხადო, რუსთავმა ახალი სიცოცხლე შეიძინა.

არადა, რომელი ერთი ჩამოვთვალო, ქალაქში განსაკუთრებული წესრიგი, სისუფთავე სუფევს. ყურადღებისა და მზრუნველობის კვალი ყველასა და ყველაფერს ეტყობა, რუსთავი სრულიად ახლებურად არის მოვლილი და ნაპატრონები.

ვიმეორებ, რუსთავს მრავალად ჰყავდა ჩინებული თავკაცი, მარტო ეროვნული გმირის ჟიული შარტავას სახელი რად ღირს, მაგრამ ეს სულ სხვაა, სხვაც მრავალი წარჩინებული წინამძღოლი შემიძლია ჩამოვთვალო...

და მაინც, ქალბატონი ნინო სულ სხვანაირი ხელმძღვანელია, მისი შემართება, მზრუნველობა, ვიმეორებ, თითოეული მოქალაქისადმი ყურადღება, სითბო, პატივისცემა – მართლაც რომ გამორჩეულია.

ჰოდა, რაოდენ საკვირველია, რომ საკრებულოს მამაკაცთა ერთი ჯგუფი, შეუპოვრად უპირისპირდება ქალბატონ მერს, ყოველწლიურად ხელს უშლიან ქალაქისათვის სასიკეთო საქმეების კეთებაში.

იმედია, ქალბატონი ნინო არ შედრკება და ღირსეულად განაგრძობს გზას თავისი ღვაწლისა და ამაგის გასამრავლებლად.

ჩვენ შენთან ვართ, ქალბატონო ნინო!

პატივისცემით

**გივი ჯახუა,**



**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, რუსთავის საპატიო მოქალაქე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.**

# წალენჯიხის მერი საკუთარ მოსახლეობას ემალება

**ჩხოროწყუსა და მარტვილისგან განსხვავებით, სტიქიით დაზარალებული წალენჯიხის მოსახლეობა, სახელმწიფოს მიერ გაცემულ კომპენსაციებს ისევ ვერ იღებს. წალენჯიხის მერიას 180-მდე ოჯახისთვის თანხა ამ დრომდე არ დაურიცხავს.**

მოსახლეობა ადგილობრივ ხელისუფლებას გულგრილობაში ადანაშაულებს. მუნიციპალიტეტის ოპოზიციონერი მერი „იმედის“ კითხვებს არ პასუხობს.

**„180-ზე მეტ ოჯახს არ აქვს მიღებული კუთვნილი თანხა. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც მოსახლეობა მთავრობის მიერ გამოყოფილ თანხებს დროულად ვერ იღებს. ყველაფერი დროულად იყო აღწერილი და აღრიცხული, მაგრამ, როგორც ხედავთ, მოსახლეობას ეს თანხა ამ დრომდე არ მიუღია“,** – აღნიშნა ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილემ, დათა კუკავამ.

# აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგების ისტორიული პროექტი




**აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების მასშტაბური პროექტის სამშენებლო სამუშაოები დაიწყო. ისტორიული პროექტის ფარგლებში, თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის მშენებლობის სამუშაოები აჭარის 39 სოფელში და ასევე დაბებში განხორციელდება. მასშტაბური პროექტის ღირებულება დაახლოებით 100 მლნ ევროს შეადგენს.**

პროექტის ფარგლებში ახალი თანამედროვე სტანდარტების წყლის და წყალარინების სისტემით აჭარაში მცხოვრები დაახლოებით 6000 ოჯახი ისარგებლებს. აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში სამშენებლო სამუშაოები ერთდროულად დაიწყება და სოფლების ჩართვა ახალ სისტემაში, ეტაპობრივად მოხდება. სამუშაოების დასრულების შემდეგ, მოსახლეობა 24-საათიანი უწყვეტი წყალმომარაგებით და წყალარინების გამართული ინფრასტრუქტურით ისარგებლებს. 2024 წელს, აჭარაში, პირველ ეტაპზე, 24-საათიანი წყალმომარაგებით და გამართული წყალარინების სისტემებით ისარგებლებენ ქობულეთის, ქედის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების სოფლები.

# ახალი სპორტული ინფრასტრუქტურა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში

**სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა დასრულდა სოფელ ჩორჯოში, ბოსტანაში, ლიხეთში, ძირაგეულსა და იწაში. შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ 210 775 ლარი შეადგინა. ასევე, სტადიონების მოწყობის მეორე ეტაპის სამუშაოები მიმდინარეობს სოფელ აბანოეთში და ჭრებალოში.**

აღნიშნული პროექტები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება. სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარება და ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია, შესაბამისად, სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა და მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება.

# ქუთაისში იმერეთის საფეხბურთო აკადემია გაიხსნა

**აკადემიაში 2009 და 2010 წელს დაბადებული ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი ემზადება, რომელიც იმერეთში სელექციის საფუძველზე დაკომპლექტდა.**

ფეხბურთელები აკადემიაში სრულიად უფასოდ 2 წლის განმავლობაში იცხოვრებენ და ისწავლიან. საფეხბურთო განათლებასთან ერთად, აკადემიის აღსაზრდელები ადგილზე შეისწავლიან ქართულს, ისტორიას, ინგლისურს და მათემატიკას. ამავდროულად, რეგიონში გრძელდება სელექციის პროცესი. ქუთაისის ტექნიკური ცენტრის მშენებლობა გასულ წელს დასრულდა და ორი ხელოვნური და ორი ბუნებრივსაფარიანი მოედანია მოწყობილი. ტექნიკური ცენტრის ტერიტორიაზე ასევე აშენდა საცხოვრებელი კორპუსი, სადაც გასახდელები, სასადილო, საკონფერენციო, სავარჯიშო და სხვადასხვა ადმინისტრაციული ოთახები მოეწყო.



# ვარლამ ხუროძე – უსამართლოდ მივიწყებული ჭეშმარიტი შემოქმედი



ვარლამ ხუროძე, ჯაჯუ ჯორჯიკია, 1908 წ. (თემურ ხუროძის პირადი არქივიდან)

**ახლახან შესრულდა 140 წელიწადი ცნობილი ქართველი მწერლის, კრიტიკოსის, პუბლიცისტის, პედაგოგ-განმანათლებლის, ქართული ენისა და ლიტერატურის გამოჩენილი მეთოდისტის ვარლამ ხუროძის დაბადებიდან.**

პირველად მისი სახელი და გვარი ლეგენდარული პედაგოგის, „მეორე გოგებაშვილად“ მონათლული ლუარსაბ ბოცვაძის ღირსეულმა შვილმა, ჩვენი დედაუნივერსიტეტის პროფესორმა იოსებ (სოსო) ბოცვაძემ 70-იანი წლების ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტებს გაგვაცნო და ერთმნიშვნელოვნად მიგვითითა: წადით საჯარო ბიბლიოთეკაში და წაიკითხეთ ვარლამ ხუროძის (მალაქიაშვილის) კრიტიკული წერილები გალაკტიონისა და სხვა ქართველი მწერლების შესახებ, თქვენ ადვილად დარწმუნდებით, თუ როგორ უნდა წერდეს პედაგოგი, განათლებული მასწავლებელი და თავად ჯავარიანი სიტყვის ოსტატი საკუთარ კოლეგებზეო...

მაშინ სტუდენტებმა ისიც შევიტყვეთ, რომ ვარლამ ხუროძის წერილი **„ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება“ (კრიტიკული ცდა)**, სულაც პირველი სერიოზული კრიტიკული შეფასება ყოფილა სრულიად ახალგაზრდა გალაკტიონის სიმბოლისტური, სევდიანი, მისტიკური, მაგრამ მაინც ეროვნული და დიდებული პოეზიისა.

მაშინ გალაკტიონი 24-25 წლისა იყო და გამოცემული ჰქონდა მხოლოდ 2 კრებული.

ვარლამ ხუროძის წერილი ოდნავ მოგვიანებით, 1919 წელს დაიწერა ხონში და დაიბეჭდა ჟურნალ „ცისარტყელაში“.

გალაკტიონზე ათიოდე წლით უფროსი ვარლამ ხუროძე საოცარი გულწრფელობით მიმოიხილავს ჭაბუკი გალაკტიონის ორივე კრებულს, ზოგჯერ არ ეთანხმება გალაკტიონის სიმბოლისტურ ერთფეროვნებას და იმედოვნებს, რომ ეს გენიალური რითმების ავტორი მალე შეიცვლის მელანქოლიურ უიმედობას და დაუბრუნდება პირველი კრებულის პოეტურ აღმაფრენას:

„ტაბიძის პოეტური ნიჭი იმდენად ძლიერი და მომაჯადოებელია, რომ ყველას იმორჩილებს. თქვენ შეგიძლიათ არ გაიზიაროთ ტაბიძის მსოფლმხედველობა, მაგრამ იმას კი ვერ უარყოფთ, რომ მისი ლექსების კითხვის დროს სწორედ იმ გრძნობას განიცდით, რასაც თვითონ პოეტი განიცდიდა, სწორედ ისე უყურებთ ამქვეყნიურ ცხოვრებას, როგორც მგოსანი. პირადად მე არ ვიზიარებ ტაბიძის მსოფლმხედველობას, მაგრამ პირდაპირ ჟრუანტელს მგვრის ამ სტრიქონების წაკითვა:

**„სიმკაცრის შემხედავს საშვენი**
**თვალები შეკრული კამარის:**
**ჯვარს ეცვი, თუ გინდა! საშველი**
**არ არის, არ არის, არ არის!**
**დაქრიან უდაბნოს ქარები,**
**მტანჯავენ და ვიცი გახსოვარ!**
**სამრეკლოს ანგრევენ ზარები...**
**წმინდაო, წმინდაო მაცხოვარ!“**

მუსიკისა და რითმის მხრივ ტაბიძის პოეზია უმაღლეს წერტილზე უნდა ჩაითვალოს. ასეთი სადა, მომხიბლავი და ძალდაუტანებელი რითმა გრიშაშვილსაც კი არ მოეპოვება, ამ მხრივ ტაბიძე პირდაპირ აკაკია ჩვენი თანამედროვე ლიტერატურისთვის,“ – დასძენს ვარლამ ხუროძე.

ერთობ თვითკრიტიკულია გალაკტიონის პოეზიის პირველი ლიტერატურული შემფასებლი საკუთარი თავის მიმართ: „დავასრულეთ ჩვენი კრიტიკული ცდა. ღმერთმა გვაშოროს მსაჯულის როლი, ჩვენ მხოლოდ ვცდილობდით აგვეხსნა და განგვემარტა მგოსნის შემოქმედება და მისი მომავლის გზები. არ ვიცი, რამდენად დამაკმაყოფილებელია ჩვენი ცდა, მაგრამ ერთ ღირსებას კი მაინც ვერავინ წაართმევს ჩვენს ნაშრომს: ეს არის კეთილსინდისიერი დამოკიდებულება ავტორის წმიდათაწმიდასთან, მის პოეზიასთან“...

სწორედ ასეთ წმიდათაწმიდა და კეთილსინდისიერი ჩანს ვარლამ ხუროძე რუსთაველთან, ილია და ალექსანდრე ჭავჭავაძეებთან, ბარათაშვილთან, ვაჟა-ფშაველასთან, აკაკი წერეთელთან, ალექსანდრე ყაზბეგთან, ეგნატე ნინოშვილთან, შიო არაგვისპირელთან, ლავრენტი არდაზიანთან, იოსებ დავითაშვილთან, მაქსიმ გორკისთან, ჰენრიხ იბსენთან დამოკიდებულებაში. ამ გენიოსების შემოქმედებაზე ვარლამ ხუროძის კრიტიკული წერილების გადაკითხვა დღესაც ერთი სიამოვნებაა!

* * *

**საერთოდ, მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე გამომავალ ყველა გაზეთსა და ჟურნალს (მათ შორის „ეშმაკის მათრახსაც“) ამშვენებდა ხუროძის თვალადური ქართულით დაწერილი მოთხრობები, რომანები, პუბლიცისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები.**



(მარცხნიდან, სხედან: ვარლამ ხუროძე, ია ეკალაძე, იასონ ნიკოლაიშვილი, ვარლამ რუხაძე; დგანან: ილია რუხაძე, ნოე ჩხიკვაძე, გალაკტიონ ტაბიძე.

მაგალითად, 1913 წელს გაზეთ „მერცხალში“ დაიბეჭდა ვ. მალაქიაშვილის (ვარლამ ხუროძის) წერილი „ხმა მოსკოვიდან“, რომელშიც ხაზგასმულია, რომ მის ავტორს, ქართველ სტუდენტებთან ერთად, აქტიური მონაწილეობა მიუღია პეტერბურგში მყოფი აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილი საღამოს გამართვაში. აკაკის საღამო შთამბეჭდავად ჩატარებულა და მისთვის ერთხმად შეურქმევიათ „ ქართული პოეზიის პუშკინი“...

მეოცე საუკუნის 10-იან წლებში მკითხველთა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა და რამდენჯერმე გამოიცა კიდეც ვ. ხუროძის რომანები „შოთა ბროლიძე“ და „სამნი“, მოთხრობები – „ლუკმაპურისთვის“, „ბედნიერი კაცი“, „ორი საფლავი“ და სხვ.

ხონის რაიონის სოფელ მათხოჯში დაბადებული და გაზრდილი ვარლამ ხუროძე, როგორც მისი მეგობრები და თანამოაზრეები იგონებენ, ახალგაზრდობიდანვე საოცრად დინჯი, თავმდაბალი, გაწონასწორებული, შრომისმოყვარე, სამართლიანი, მრავალმხრივ განათლებული მამულიშვილი და ინტერნაციონალისტი ყოფილა. აშკარაა, რომ ვარლამის თავმდაბლობა და პატიოსნება მოდის ხუროძეების უბრალო, ღარიბი ოჯახიდან და მათხოჯის ორწლიანი სამონასტრო სკოლიდან, აგრეთვე ხონის საოსტატო სემინარიიდან, რომელიც ვარლამ ხუროძემ დაამთავრა და უკვე 21 წლის ყმაწვილი, 1904 წელს მასწავლებლად განამწესეს ჭიათურის რაიონის სოფელ მერევში... ერთი წლის შემდეგ ის ლანჩხუთში განაგრძობს მასწავლებლობას, თუმცაღა, მოზარდებსა და ხალხში მოწინავე იდეების გავრცელებისთვის 1907 წელს სკოლიდან დაითხოვეს! რამდენიმე თვეში მან მაინც მოახერხა ჭიათურის რაიონის სოფელ შუქურეთის შავი ქვის სამრეწველო სკოლაში ემუშავა და აქ უფრო ახლოს გაცნობოდა ხალხის მძიმე შრომასა და ყოფას.

როგორც ვთქვით, იმ ხანებში ის დიდი გატაცებით წერდა პუბლიცისტურ წერილებსა და აქვეყნებდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში... 1910 წელს ვ. ხუროძე ცოდნის გასაღრმავებლად მოსკოვს მიემგზავრება და წარმატებით ამთავრებს შინიაევსკის სახელობის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტს. 1913 წელს ბრუნდება ქუთაისში და განაგრძობს ლიტერატურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას. ამავე წელს ის დააპატიმრეს და გადაასახლეს ასტრახანში... ერთი წლის შემდეგ ის გადასახლებიდან გამოიქცა და ქუთაისში არალეგალურად ცხოვრობდა. 1914 წლის ბოლოს ვ. ხუროძე კვლავ დააპატიმრეს და ისევ ასტრახანში დააბრუნეს. აქ დაჰყო მან 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე. გადასახლებიდან დაბრუნებული უკვე „ძველი“ ფედერალისტი მუშაობას იწყებს ხონის საოსტატო სემინარიაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. რამდენიმე წლის შემდეგ გადმოდის დედაქალაქში და აქტიურად ერთვება ქალაქ თბილისის განათლების განყოფილების საქმიანობაში. ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგიური კაბინეტის მეთოდისტობასთან ერთად იგი თავადაც ასწავლის მშობლიურ ენასა და ლიტერატურას თბილისის რამდენიმე სკოლაში.

**ღრმად განსწავლული პედაგოგ-მეთოდისტი ვ. ხუროძე სკოლის ნამდვილი რეფორმატორი და პრაქტიკოსი პედაგოგი გახდა. როგორც ვარლამ ხუროძის თანამედროვენი და უმცროსი მეგობრები, პროფესორები ალექსანდრე სიგუა და ვალერიან რამიშვილი იგონებენ, მაშინდელ სკოლებში ქართულ ენასა და ლიტერატურას საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერ-პედაგოგები, სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკური შრომების ავტორები ასწავლიდნენ. ესენი იყვნენ მიხეილ ზანდუკელი, კონსტანტინე კაპანელი, ვარლამ თოფურია, არნოლდ ჩიქობავა, ივანე გიგინეიშვილი, ვარლამ ხუროძე, გრიგოლ გარამიძე, ვლადიმერ ზამბახიძე, ბაბი წულეისკირი, ბაბო მჭედლიძე, ვარა ვარდიაშვილი, თამარ აბაშმაძე და სხვ.**

ვარლამ ხუროძე, მსგავსად მიხეილ ზანდუკელისა, იკვლევდა რა მხატვრული ლიტერატურის საკითხებს, იმავე დროს ასწავლიდა კიდეც ქართულ ლიტარატურას სკოლაში და დაკვირვების ობიექტად იყენებდა თბილისის მოწინავე მასწავლებელთა მუშაობის პრაქტიკას. როგორც თბილისის განათლების განყოფილების ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდური კაბინეტის ხელმძღანელი, წელიწადში ორჯერ მაინც ამოწმებდა დედაქალაქის სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობას. ფიზიკურად ამის გაკეთება, ბუნებრივია, ერთ კაცს არ შეეძლო. მან შექმნა მოწინავე მასწავლებელთა დიდი ჯგუფი, რომელიც გულითადად ეხმარებოდა შედარებით გამოუცდელ, ახალგაზრდა მასწავლებელთა არმიას. მაშინ ამ მეთოდმა საუკეთესო შედეგი გამოიღო და მშობლიური ენა-ლიტერატურის სწავლება მთელ თბილისში ჯეროვან სიმაღლეზე დადგა.

1927 წელს გამოვიდა ვარლამ ხუროძის წიგნი „ქართული ლიტერატურის თემატიკური განხილვა“, რომელიც მთელი 10 წლის განმავლობაში ერთ-ერთი მთავარი სახელმძღვანელო იყო ქვეყნის მასწავლებელთათვის.

**ვარლამ ხუროძის ღრმად ეროვნული პედაგოგიური თვალსაზრისით, ნებისმიერი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი კარგად უნდა ფლობდეს საქართველოს ისტორიას, კულტურას, ეთნოგრაფიას, გეოგრაფიას, პედაგოგიურ ფსიქოლოგიას და ფილოსოფიას, რადგანაც ასეთი მასწავლებელი სკოლაში ცოდნის კულტს შექმნის და სხვა საგნების მასწავლებლებიც მის კვალს გაჰყვებიან. ყველა საგნის მასწავლებელი განათლებული უნდა იყოს, მაგრამ მშობლიური ენა-ლიტერატურისა – განსაკუთრებით.**

ვარლამ ხუროძის ეს შეხედულება ერთობ ძვირფასია დღეს, როცა საქართველოს სკოლებს გაუცხოების, განკერძოების, რეპეტიტორობის, ფულით ნაყიდი სიმწიფის ატესტატების, არაპროფესიონალიზმის ნიშნით დაღდასმული კერძო უმაღლესი სასწავლებლების თითქმის განუკურნებელი სენი შეპყრობია და ამაოდ მივილტვით დასავლური (ნამეტნავად, ევროპული) განათლების სისტემისკენ!

ევროპისკენ სწრაფვას რა სჯობს! ჩვენი წინაპრების, განსაკუთრებით ვარლამ ხუროძის თაობის ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები, სულ ევროპულ, მათ შორის რუსულ სწავლა-განათლებაზე ოცნებობდნენ, მაგრამ იმათ ისეთი მტკიცე ეროვნული ცნობიერება

ჰქონდათ, ევროპული სისტემის ცუდსა და კარგს ადვილად არჩევდნენ, მხოლოდ საუკეთესოს ითვისებდნენ და ქართულ ბაზისზე ამყნობდნენ... თითო-ოროლა გამონაკლისს გარდა, ყველა მათგანი საქართველოში ბრუნდებოდა და მუდამ იმის ცდაში იყო, როგორ აეღორძინებინათ მამული, ენა, სარწმუნოება.

„მიზნად დავისახე ქართველი ხალხის სამსახურისთვის შემეწირა თავი... მწერლობაში დავინახე ამ მიზნის მისაღწევი ერთ-ერთი გზა“, – წერდა სრულიად ახალგაზრდა ვარლამ ხუროძე და ვინც ამ ზნემაღალი კაცის მოთხრობებს, რომანებსა და ესკიზებს გაეცნობა, ადვილად დარწმუნდება, თუ რატომ შეუთავსა მწერლობას პრაქტიკული მასწავლებლობა და ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებელთა მეთოდისტობა.

დიახ, ის სიცოცხლის ბოლომდე მასწავლებელთა მასწავლებელი იყო!

**„ვარლამ ხუროძე იყო მრავალმხრივ განათლებული, მგზნებარე პატრიოტი, ფუტკარივით მშრომელი, მეტისმეტად თავმდაბალი, უხმაურო, სრულფასოვანი ინტელიგენტი, ყველა მაღალადამიანური მოქალაქეობრივი თვისებით დაჯილდოებული პიროვნება, რომელთანაც ურთიერთობა ყოველთვის დიდ სიამოვნებას მგვრიდა“, იგონებდა პროფ. ვ.რამიშვილი.**

ერთი უაღრესად საგულისყურო დეტალი ვ.ხუროძის გამორჩეული ნიჭიერებით დაღდასმული შემოქმედებიდან: 1934 წელს, საბჭოთა კავშირის მწერალთა პირველ ყრილობაზე, მაშინ ცნობილი პარტიული ფუნქციონერის და საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მალაქია ტოროშელიძის უზარმაზარ მოხსენებაში, ყველაზე მნიშვნელოვანი მონაკვეთი – XIX საუკუნის ქართული კულტურა და ლიტერატურა, რუსულ ენაზე შესანიშნავად დაუწერია ვარლამ ხუროძეს და... საბჭოთა მთავრობისგან სოლიდური ჰონორარიც მიუღია!!!

* * *

**1936-37 წლებში ვარლამ ხუროძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორია. პარალელურად ლექციებს კითხულობს გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში. მის ლექციებზე ტევა არ არის...**

1937 წლის შემოდგომაზე გორში მოეწყო „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. მომხსენებელთა შორის იყო გამოჩენილი მწერალი და ლიტერატურისმცოდნე ვარლამ ხუროძე, რომლის მოხსენებამ – „ვეფხისტყაოსნის“ ეთიკა და სოციალური იდეალები“ განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. ამ ასპექტით მაშინ რუსთველის ქმნილება შესწავლილი არ ყოფილა და ვ. ხუროძის მოხსენება ახალი სიტყვა იყო რუსთველოლოგიაში...

ეს უიშვიათესი ნაშრომი 1938 წელს დაიბეჭდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (№3).

ერთი წლით ადრე გაზეთმა „კომუნისტმა“ დასტამბა ვ. ხუროძის ვრცელი წერილი **„ვეფხისტყაოსანი“, როგორც მებრძოლი წიგნი“.**

ეს ყელაფერი იმას ნიშნავდა, რომ ტოტალური რეპრესიებით გამორჩეულ იმ წლებშიც ვარლამ ხუროძე უსამშობლო ბოლშევიკებისთვისაც მისაღები მოღვაწე იყო... მაგრამ მისი აქტიურობა და ეროვნულ-პატრიოტული იდეების ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან ფრქვევა არ მოსწონდათ ჩასაფრებულ დამსმენ არამზადებს.

იმ წლებში ხომ ჩაშვების, დაბეზღების, სიცრუის კალო ტრიალებდა დიდ საბჭოეთში!

1938 წელს 54 წლის ვარლამ ხუროძე კიდევ ერთხელ დაიჭირეს მთავრობისთვის მიუღებელი პატრიოტული შეხედულებების გამო!!!

ცოტა ხანში ეს მრავალმხრივ განათლებული ინტელიგენტი და თვალსაჩინო მოღვაწე (ჩამშვებთა აზრით კი, „ხალხის მტერი“) დაუნდობლად დახვრიტეს!

1956 წელს, სრული რეაბილიტაციის შემდეგ, ვარლამ ხუროძის მეუღლესა და შვილებს უშიშროების სამსახურში უთხრეს: არ გირჩევთ იმ ხალხის გვარების ნახვას, რომლებმაც მამათქვენი დაასმინეს, ცნობილ ქართველებზე წარმოდგენა დაგეკარგებათ და მთელი ცხოვრება დაიტანჯებითო!..

**ვარლამ ხუროძის შვილიშვილებმა და შვილთაშვილებმა დღესაც არ იციან ამ „ცნობილი ქართველების“ გვარსახელები!**

**იქნებ, მართლა ასე სჯობდეს!**

**სპარტაკ ქობულია**

## 119 წლის წინათ, ქუთაისში...

ახლა კი, ყოველგვარი კომენტარის გარეშე, ჩვენს გემოვნებიან მკითხველს ვთავაზობთ ვარლამ ხუროძის ერთ წერილს ქართული თეატრის რეფორმატორსა და სიამაყეზე, ჭეშმარიტად სახალხო არტისტ ლადო მესხიშვილზე, დასტურად იმისა, თუ როგორი პუბლიცისტი და ოქროსკალმიანი ჟურნალისტი იყო ის.

**ს. ქ.**



**ვარლამ ხუროძე**

# ვლადიმერ მესხიშვილი როგორც მოქალაქე

**ვლადიმერ მესხიშვილს ყველანი ვიცნობთ, როგორც დიდ ხელოვანს, დიდებულ არტისტს. მისმა ნიჭმა უმაღლეს საფეხურზე აიყვანა ქართული დრამატული ხელოვნება. ქართული თეატრი რომ ხალხის კუთვნილებად გადაიქცა, ამაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ამ ადამიანის მოღვაწეობას, მესხიშვილი მთელი ეპოქაა ქართული თეატრის დემოკრატიზაციის საქმეში.**

**მაგრამ თანამედროვე თაობა მას არ იცნობს, როგორც მოქალაქეს, როგორც ხალხის პოლიტიკური ცხოვრების თანამოზიარეს...**

მე მინდა მოვიგონო დიდი არტისტის ცხოვრებიდან ერთი მომენტი, რომელიც სამუდამო ბრწყინვალებით ჩარჩენილა ჩემს მეხსიერებაში. ეს წუთები ადამიანის კეთილშობილურ გრძნობათა უდიდეს დემონსტრაციად წარმოგვიდგება. ამ დაუვიწყარმა ფაქტმა ასჯერ უფრო ძლიერი კვალი დააჩნია ჩემზე, ვიდრე წიგნთა მრავალმა ტომმა.

და განა მარტო ჩემზე? დარწმუნებული ვარ, ისინიც ჩემსავით თბილი გრძნობითა და განუზომელი სინაზით იგონებენ ვლ. მესხიშვილის ცხოვრებიდან ამ ვაჟკაცურ სულიერ სიდიადეს, ვისაც წილად ხვდა ბედნიერება ენახათ ესოდენ დიდებით მოსილი მესხიშვილი.

ეს მოხდა პირველი რევოლუციის ბობოქრობის დროს, 11 აპრილს, ქუთაისის თეატრის სცენაზე. მთელი საქართველო რუსეთთან ერთად რევოლუციურ ქარტეხილს შეეპყრო, ჩვენს სამშობლოში უჩვეულო გრიგალი ტრიალებდა, ამგვარი მოძრაობა ქართველი ერის ისტორიაში ჯერ უნახავი და განუცდელი იყო. ისტორიის ეკლიან გზაზე მთელი ერის უდიდესი ნაწილის გამაერთიანებელი გრძნობები პირველად ფეთქავდნენ, ქართველობის სხვადასხვა ნაწილი ბევრჯერ აღუფრთოვანებია ძველ დროში აღტაცების გრძნობას. მტერთა შემუსვრა და „ჰკა მაგას“ ყიჟინით მუდამ გაყრუებული იყო ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალი.

**ქართველო, ხელი ხმალს იკარ,**
**დრო მოდის გამარჯვებისა!**

ერთნაირად ნაცნობი ჰიმნი იყო ქართლელისა და იმერლისთვისაც, კახელისა და მეგრელისთვისაც... ეროვნული შინდისფერი დროშა ხევსურსაც ისეთი ვაჟკაცობით ეპყრა, როგორც ჯავახელს, გურულსაც ისე აკავშირებდა იგი, როგორც ფშაველს...

მაგრამ წითელი ფერის ალმის ფრიალი საქართლოს მიწა-წყლის თითოეულ ნაწილში და ისიც ერთსა და იმავე დღეს, ერთსა და იმავე წამში, ჯერ არავის ენახა...

ფეოდალური დაქსაქსულობა აფერხებს ქართველი ხალხის კონსოლიდაციას.

დღეს კი ჭეშმარიტად განსაცვიფრებელი გაერთიანება დამყარდა. წითელმა დროშამ მთელი მშრომელი საქართველო შეაკავშირა და ერთ ეროვნულ შეგნებაში გააერთიანა. „ქართლის ჭირი“ სრულიად საქართველოს ჭირად გადაიქცა. გურიის გასანადგურებლად გაგზავნილი ალიხანოვის

**მოგახსენებთ, ბატონო იაშვილო, რომ მე აზნაურობას არ ვეკუთვნი! მე ვეკუთვნი მთელ ერს! ფულს კი არ ვემსახურები, არამედ სცენას, ჩემს რწმენას და ვერავითარი სასყიდლით ვერავინ ვერ მიყიდის და ვერ მათქმევინებს იმას, რაც ჩემს რწმენას ეწინააღმდეგება.**

ჯარები, თბილისის გარეუბნისა და კახეთის გლეხთა მოთხოვნით დამფრთხალმა მეფის მთავრობამ, უკანვე გამოიწვია.

– გურულები ჩვენი ძმები არიან, მათი სისხლის დაღვრა, ჩვენთვის ყელის გამოჭრას ნიშნავსო, – განუცხადეს აღმოსავლეთ საქართველოს მშრომელებმა მეფის ჯალათებს...

მე მაშინ ჯერ კიდევ უწვერ-ულვაშო მასწავლებელი ვიყავი... 23 მარტიდან მთელმა მასწავლებლობამ მეფის რეჟიმს გაფიცვა გამოუცხადა... სკოლებში შესვლას მანამდე არ ვაპირებდით, სანამ დამფუძნებელი კრება არ იქნებოდა მოწვეული... არც მეტი, არც ნაკლები... საზოგადოება აღელვებულია სვანეთში შამშე გელოვანის თავად გარდაფხაძეების მიერ მოკვლის ამბით... ხალხი აღელვებულია, ხიდები აყარეს, სვანეთის გზები შეიკრა. გარდაფხაძეები კოშკებში ჩაიკეტნენ.

სკოლიდან გამოქცეული ქუთაისში ჩამოვედი. თეატრში თავად-აზნაურობის კრებაა. მაშინვე აქეთკენ გავექანე. შავ ხალხთან ერთად მეც ქანდარაზე ავიპარე... აბა პარტერში ვინ შემადგმევინებდა ფეხს... აქ იყვნენ ჩოხოსნები, ხანჯლოსნები, სერთუკიანები... ვხედავდი თათქარიძეებს, სოლომონ მორბელაძეებს, ტარიელ მკლავაძეებს, ჭავჭავაძის არჩილებს, კესოებს... თავადი დავით ნიჟარაძე „თოფითა და ჯინჯილით“ ბუმბერაზულად გამოიყურებოდა, ტელმაკ გურიელი თავისი გაჩეჩილი თმით, ფაფანაკით, მოკლე ცოცხით, გადაგდებული ყაბალახით და მესტებიანი პატარა ფეხებით კოდალას ჰგავდა, ლეჩხუმელი ოქროპირი-იასონ გელოვანი პათეტურად შლიდა თეთრი ჩოხის სახელოებს, ხიკოკია თაყაიშვილი უშნოდ აწოწვილიყო და... ენამახვილობდა...

ისმის ხმაური, ყვირილი, დავა... გუბერნიის მარშალი, სვიმონ წერეთელი, რევაზ ბაკურაძე ძლივს აწყნარებენ კრებას.

მესმის, ვიღაც მოხუცი ლაპარაკობს, მერე გავიგე, რომ ჯაფარიძე იყო; „75 წლისა ვარ და ასეთ ამბებს არ მოვსწრებივარ, არ ვიცი, სიზმარში ვარ თუ ცხადში. ახლანდელ მდგომარეობაში დამნაშავენი ახალგაზრდები არიან, მათ ააღელვეს გლეხობა, მათვე უნდა დააწყნარონ სოფელი, ამ 40 წლის წინათ ჩამოჰკრეს ზარი და გაათავისუფლეს გლეხობა; დღეს მეორედ ჩამოჰკრეს ზარი და იძახიან; გლეხებო, თქვენია ყოფა-ცხოვრებაო, ვინ იცის, ხვალ ეგება მესამედაც ჩამოჰკრან და ცოლები, ან ქალიშვილებიც ჩამოგვართვან“... **(„ივერია“, №55.1905)**

სიტყვა გაასრულა მოხუცმა და შორაპნელი თავადი დ. იაშვილი – გამოწკეპილი ტარიელ მკლავაძე თავზარდაცემული გაჰკივის ტრიბუნიდან:

„ოჯახები მიგვიტოვებია, არ ვიცით, შინ ცოცხალი ჩავალთ თუ არა“.

მომაგონდა, გაზეთ „ივერიაში“ (ამ დროს ფილიპე გოგიჩაიშვილი იყო მისი რედაქტორი) დაბეჭდილი ერთი თავადის მიერ თბილისში, კრებაზე ნათქვამი სიტყვები: „ბატონებო, გლეხები ჩვენზე ძალას ხმარობენ, ჩვენც ძალით უნდა შევეგებნეთ, ისინი ამბობენ, – ჩვენ არავითარი ძალის არ გვეშინია, ძალა ვერ გაგვაჩერებსო. მაგრამ უნდა დავუმტკიცოთ, რომ ჩვენც შეგვიძლია, ჩავაქროთ ეს მოძრაობა; ჩვენ უნდა მივიღოთ სასტიკი ზომები, მთავრობას უნდა მოვთხოვოთ, რომ ჯარი მოგვცეს ამ სტიქიური ძალის მოსასპობად“ **(„ივერია“, №20,1905).**

– ომი უნდა გამოვუცხადოთ, – გაჰკივის იქვე თავადი დ. ჩოლოყაშვილი.

– გლეხების საწინააღმდეგოდ თავადებს ქუთაისსა და თბილისშიც ერთი ენა აქვთ, – ვფიქრობ მე... ამ დროს ისევ იაშვილი გამოდის სცენაზე და ასე მეტყველებს:

– პირადად მე ხალხის ამაღელვებელს არ ვიცნობ, – ეს კი ვიცი, რომ მისი წამქეზებელი ისევ სერთუკოსნები არიან. ხალხთან ყოველთვის ერთობა გვქონდა (ალბათ, ექსპლოატაციის ნიადაგზე. **ვ.ხ.** – ამ ორი წლის წინათ ერთი მსახიობი შეიქნა ავად, – ყველა დაეხმარა, ზოგმა თუმანი გაიღო, ზოგმა 5, ზოგმა 3 მანეთი, ზოგმა უკანასკნელი მანეთიც კი შესწირა და რა გამოვიდა ამით? მორჩა თუ არა, აი, აქ, ამ სცენაზე ისეთი წარმოდგენების მართვა დაიწყო, რომ სულ სამარეს გვითხრიდა თავადაზნაურობას“.

ეს მსახიობი იყო ვლადიმერ მესხიშვილი, რომელიც იქვე იჯდა ლოჟაში და თავისი აპოლონ ბელვედერის მშვენიერებით ზიზღით გაჰყურებდა ულვაშებაპრეხილ ჩოხოსანს, რომელსაც ქანდარა უსტვენდა, პარტერი ტაშს უკრავდა, ხოლო „სერთუკოსნები“, იგივე თავადები, მაგრამ ლიბერალურად განწყობილი ინტელიგენტები, – ვექილები, ექიმები და სხვ. – დარცხვენილი და გაწითლებული უსმენდნენ, ზოგი მათგანი სიბრაზით კბილებს აკრაწუნებდა, „მამათა სიშიშვლის“ გამო.

როგორ შეგვარცხვინეს ჩვენმა მამებმა!.. ჩვენ ქვეყნისთვის ავტონომია გვინდა მოვითხოვოთ და ესენი საქვეყნოდა თავს გვჭრიანო, – გაისმოდა მათ შორის.

**„მამათა და შვილთა“ ნამდვილი ომი იყო, – „ქარიშხალი ჭიქა წყალში“, თანაც მესხიშვილის, ამ ეროვნული დიდების წინაშე, ბოდიშს იხდიდნენ.**

– ნუ გეწყინებათ, აპატიეთ, ჩვენი მამები ძველი ხალხიაო.

სიტყვების ლამაზი ლეჩაქით ფარავდნენ მამათა სიშიშვლეს პატრიარქ ნოეს ორი შვილის მსგავსად.

მესხიშვილი კი საპასუხო სიტყვას მოითხოვს, მაგრამ ნებას არ აძლევენ, არც თავადი ხარ და არც აზნაურიო. არტისტი ცხარობს, წყრება, ნამდვილი ზევსია, თვალთაგან ცეცხლს აფრქვევს და თითქმის ძალით იჭერს ტრიბუნას...

**რა სანახაობაა... გაცეცხლებული აპოლონი: თეთრი ზამბახებით შემკული თავი, გაშლილი შუბლი, წარბებად ისრები, თვალთაგან ცეცხლი...**

იხ. 9 გვ.

# ჯო ბაიდენი – პუტინი ყაჩაღია!

## აშშ-ის პრეზიდენტი უკრაინისა და ისრაელის დახმარებას ჩქარობს



**აშშ-ის პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა კიდევ ერთხელ მოუწოდა აშშ-ის კონგრესს, დაამტკიცოს ეროვნული უსაფრთხოების კანონპროექტი, რომელიც უკრაინისა და ისრაელის დაფინანსებას მოიცავს.**

როგორც ბაიდენმა აღნიშნა, დახმარების პაკეტის დამტკიცება ძალიან მნიშვნელოვანია უკრაინისა და ისრაელისთვის.

**„მე მზად ვარ, გავაგრძელო ჩემი წვლილის შეტანა. ვფიქრობ, კონგრესის წევრების დიდი უმრავლესობა მზად არის, შეიტანოს თავისი წვლილი და გააგრძელოს მოწოდება ყველა წევრისთვის, ვინც ამ ოთახში იმყოფება, რომ წავიდნენ ვლადიმერ პუტინის წინააღმდეგ. ის ყაჩაღია.**

**მე მოგიწოდებთ, სასწრაფოდ გამომიგზავნოთ ეროვნული უსაფრთხოების კანონპროექტი ხელმოსაწერად. კანონპროექტი მოიცავს უკრაინისა და ისრაელის დაფინანსებას და არანაკლებ მნიშვნელოვანია ღაზის სექტორის ჰუმანიტარული დახმარებისთვის. მათ ეს ნამდვილად სჭირდებათ“,** – აღნიშნა ბაიდენმა.

## რუსეთის პრეზიდენტი: კიევის ნეონაცისტური რეჟიმი დაუსჯელი არ დარჩება

**რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი აცხადებს, რომ უკრაინა რუსეთზე დარტყმებს არჩევნების პროცესის ჩასაშლელად და მოსახლეობის დასაშინებლად ახორციელებს. ამის შესახებ მან უშიშროების საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას განაცხადა.**

რუსეთის პრეზიდენტის თქმით, მოწინააღმდეგის დარტყმები დაუსჯელი არ დარჩება.

**„ხმის მიცემის პროცესის ჩაშლის, თუნდაც უკრაინასთან სასაზღვრო ოლქებში ხალხის დაშინების მიზნით, კიევის ნეონაცისტურმა რეჟიმმა ჩაიფიქრა და ცდილობს, განახორციელოს დანაშაულებრივი დემონსტრაციული შეიარაღებული აქციების რიგი. ეს, პირველ რიგში, რუსეთის ტერიტორიაზე მშვიდობიან დასახლებულ პუნქტებზე დარტყმების განხორციელებაა“,** – განაცხადა პუტინმა.

მისი თქმით, მოწინააღმდეგის რაკეტებისა და ჭურვების 95 პროცენტი ნადგურდება რუსეთის საჰაერო თავდაცვის მიერ, თუმცა არიან დაზარალებულები მშვიდობიან მოსახლეობას შორის. პუტინმა აღნიშნა, რომ 12 მარტის შემდეგ განხორციელდა „დივერსიული ტერორისტული თავდასხმების სერია“, ოთხი ბელგოროდის და ერთი კურსკის ოლქებში, რუსეთის ტერიტორიაზე შეღწევისა და გამაგრების მიზნით.

## ვოლოდიმირ ზელენსკი: რუსეთის არცერთი ტერაქტი არ უნდა დარჩეს უპასუხოდ...



**რუსეთის არცერთი ტერაქტი არ უნდა დარჩეს უპასუხოდ, უკრაინა მტერს დარტყმებს ყველაზე სუსტ ადგილებში მიაყენებს,** – ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ სოციალურ ქსელებში სამხედრო მაღალჩინოსნებთან თათბირის შემდეგ დაწერა. ზელენსკიმ ავდეევკის მიმართულებიდან დაბრუნებული მთავარსადლის, ალექსანდრ სირსკის ანგარიშს მოუსმინა. მისი თქმით, შეხვედრაზე განსაზღვრეს ადგილი, სადაც შესაძლებელია რუსეთისთვის ყველაზე დიდი ზარალის მიყენება.

**„რაც მეტს დაკარგავს რუსეთის სახელმწიფო და რაც უფრო დიდი იქნება მისი აგრესიის საფასური, მით უფრო ახლოს იქნება ომის სამართლიანი დასასრული“,** – აღნიშნა ზელენსკიმ.

## ვიქტორ ორბანი: მსვლელობას გავმართავთ ბრიუსელში და თავად განვახორციელებთ ცვლილებებს ევროკავშირში

**უნგრეთის თავისუფლებისა და სუვერენიტეტის დაცვა თუ გვინდა, სხვა არჩევანი არ გვაქვს, ბრიუსელის დაკავების გარდა,** – ამის შესახებ უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა, ვიქტორ ორბანმა ბუდაპეშტში ევროკავშირის არჩევნებზე საუბრისას უნგრეთის ეროვნული დღისადმი მიძღვნილ აქციაზე განაცხადა. პრემიერის თქმით, უნგრეთი არ დაუშვებს, რომ ბრიუსელმა ევროპელებს ზურგი აქციოს.



**„ჩვენ მოგვატყუეს, აჯანყების დროა. დროა, აღვადგინოთ ევროპელი ხალხის თვითშეფასება და სიამაყე. მარტო არ ვართ. ჩვენ არ მოვითმენთ, რომ ფერმერები განადგურდნენ, საშუალო კლასი უკაპიკოდ დარჩეს, ევროპული კომპანიები გაკოტრდნენ, ჩვენი შვილები საგადასახადო მონები გახდნენ და ამ ყველაფერთან ერთად, ევროპას ომისკენ ექაჩებიან“,** – განაცხადა ორბანმა. ვიქტორ ორბანის განცხადებით, მალე ევროპასა და ამერიკაში ნორმალური ცხოვრების აღდგენა მოხდება.



# პუტინი მზად არის, გამოიყენოს ბირთვული იარაღი!

**საფრანგეთის პარლამენტის ქვედა პალატამ უკრაინასთან დაკავშირებით ქვეყნის პრეზიდენტის, ემანუელ მაკრონის სტრატეგია დაამტკიცა. სტრატეგია მოიცავს უკრაინასთან უსაფრთხოების შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს უკრაინისთვის სამხედრო დახმარების უზრუნველყოფას. საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის გაბრიელ ატალმას განცხადებით, ახლა გარდამტეხი მომენტია, ამ ომში რუსეთის გამარჯვება ფრანგი ხალხის ყოველდღიური ცხოვრებისთვის რეალურ საფრთხეს წარმოადგენს.**

ევროპა რუსეთისგან მოსალოდნელ საფრთხეზე უკვე ღიად საუბრობს. როგორც ჩანს, საფრთხე რეალურია. რუსეთის პრეზიდენტის განცხადებით, თუკი საკითხი ეხება რუსეთის სახელმწიფოს არსებობას, ქვეყნის სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობისას, ასეთ შემთხვევაში რუსეთი მზად არის გამოიყენოს ბირთვული იარაღი.

როგორც **ვლადიმერ პუტინი** აცხადებს, იარაღი არსებობს იმისათვის, რომ გამოიყენონ და რუსეთს აქვს თავისი პრინციპები. რუსეთის პირველი პირი ირწმუნება, რომ ყველაფერი გაწერილია სტრატეგიაში, რომელიც არ შეუცვლიათ.

**„მზად ვართ მოლაპარაკებებისთვის? დიახ, ვართ, მაგრამ მზად ვართ მოლაპარაკებებისთვის, არა ფსიქოტროპული საშუალებების მოხმარების შემდეგ წარმოქმნილი გარკვეული სურვილების საფუძველზე, არამედ იმ რეალობიდან გამომდინარე, რომელიც განვითარდა. მოლაპარაკებები არ არის პაუზა კიევის გადაიარაღებისთვის, რისი გაკეთებაც მტერს სურს, არამედ სერიოზული საუბარი რუსეთის უსაფრთხოების გარანტიების საკითხის ჩათვლით“,** – განაცხადა **ვლადიმერ პუტინმა.**

ისევ აქტიურობს თურქეთი. **რეჯეფ თაიფ ერდოღანის** განცხადებით, სამშვიდობო გეგმები, რომლებიც გამორიცხავს რუსეთს, არანაირ შედეგს არ გამოიღებს. ამასთან, მისი თქმით, აუცილებელია, თავიდან იქნეს აცილებული ნებისმიერი ნაბიჯი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს უკრაინაში მიმდინარე ომის ესკალაცია და კონფლიქტის შესაძლო გავრცელება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრებზე.

**„თურქეთი მზად არის უმასპინძლოს „მშვიდობის სამიტს“ უკრაინასა და რუსეთს შორის მოლაპარაკებებისთვის. გამოვხატეთ რა უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი მხარდაჭერა, ჩვენ უკვე განვაცხადეთ, რომ სამშვიდობო გეგმები, რომლებიც გამორიცხავს რუსეთს, არანაირ შედეგს არ გამოიღებს“,** – აღნიშნა **რეჯეფ თაიფ ერდოღანმა.**

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **დავით კუხალაშვილი** არ გამორიცხავს ბირთვული იარაღის გამოყენების ფაქტორს. რადგან, მისი თქმით, ეს არის ერთი-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება და პოლიტიკური ბრძოლის იარაღი, რომ რუსეთის ფედერაციამ თავის შედეგს მიაღწიოს და აქიდან გამომდინარე, ამ ფაქტორის გამორიცხვა არ შეიძლება.

**„ეს, აუცილებლად, როგორც საფრთხე, უნდა გაითვალისწინონ გლობალურმა აქტორებმა. რაც შეეხება პუტინის პოზიციას, მე მაინც ვფიქრობ, რომ მისთვის მიუღებელია უკრაინის დღევანდელი ხელისუფლება, ეს აშკარად ჩანს და არც ის არ მგონია, რომ დიდი სურვილი ჰქონდეს რუსეთის ფედერაციას იმისა, რომ დღევანდელ პრეზიდენტთან დაჯდეს მოლაპარაკების მაგიდასთან. ამ განცხადებაშიც ეს იკითხება.**

**რაც შეეხება თურქეთის პოზიციას, თურქეთი არ არის დამოუკიდებელი ამ შემთხვევაში. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თურქეთი არის ნატოს წევრი სახელმწიფო და ის ნატოსთან გარკვეული შეთანხმების გარეშე ასეთ პოზიციას ვერ გამოხატავდა. ამიტომ, ვფიქრობ, რომ შესაძლებელია დაჩქარდეს პროცესები და მათ შორის სომარი მოქმედებების თვალსაზრისით.**

**არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ მოვლენათა განვითარება მიმართული იყოს კიევის აღებაზე. შესაძლებელია, რომ ამის შემდგომ რუსეთის ფედერაცია დაუჯდება უკვე იმ მხარეს, რომელიც იქნება უკრაინის ახალი ხელისუფლება. ერთ-ერთ ვერსიად ვითარების ეს მიმართულებაც უნდა განვიხილოთ“,** – აცხადებს **დავით კუხალაშვილი.**

პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძის** განცხადებით, ვითარება, თითქოსდა მეორდება იმ მხრივ, რომ პუტინმა რამდენჯერმე გამოიყენა სიტყვა – „არ გამოვრიცხავ“.

**„ბირთვული იარაღის ჟღარუნი მისთვის რაღაც პერიოდში ჩვეულია. იქ, კიდევ დანარჩენებიც წამოეშველებიან ხოლმე, იგივე მედვედევი, რომელიც პუტინის მიერ შემოთავაზებულ ბირთვულ კერძს მარილს მოაყრის ხოლმე. ამ შემოთავაზებას თავისი ფუნქცია აქვს. თუკი შეატყობს რუსეთი, რომ დასავლეთის მოსახლეობაში არ არის ერთსულოვნება უკრაინის დახმარებასთან დაკავშირებით, იქ ხან ენერგეტიკულ თემას წამოწევს, ხან სხვას და ერთ-ერთი წამყვანი თემა ყოველთვის არის ბირთვული იარაღი.**

**ბუნებრივია, ყველას ეშინია ბირთვული იარაღის გამოყენების, თან ისეთი სახელმწიფოს მხრიდან, როგორიც რუსეთია. აგრესიული ქვეყნის მხრიდან ატომურ იარაღზე ლაპარაკი შიშის მომგვრელია. ამიტომ, სავარაუდოა, რომ ახლა სწორედ სამშვიდობო მოლაპარაკებებზე იქნება ზეწოლა“,** – აცხადებს **რამაზ საყვარელიძე.**

თამთა ქარჩავა

# ვლადიმერ მესხიშვილი როგორც მოქალაქე

**(მეშვიდე გვერდიდან)**

ქანდარა ოვაციებს უმართავს, „შვილები“ – სერთუკოსნები – ლირიკულად სცემენ ტაშს, მამები ბუზღუნებენ, თავმჯდომარემ არ იცის, რითი იმართლოს თავი... „გუბერნატორმა თუ გაიგო“, ჩურჩულებენ ნიჟარაძეები, წერეთლები, გელოვანები, გურიელები...

...და აი ალაპარაკდა მშვენიერება, ამეტყველდნენ მესხიშვილის გაგენი... უცებ სამარისებური სიჩუმე მყარდება.



– ბატონი იაშვილი მაყვედრის, – ლაპარაკობს მესხიშვილი, რომ ჩვენ ფული შევუკრიბეთ ჩვენს არტისტს, მოვარჩინეთ და ის კი ისეთ წარმოდგენებს მართავს, რომ თავადაზნაურობას სამარეს გვითხრისო. **მოგახსენებთ, ბატონო იაშვილო, რომ მე აზნაურობას არ ვეკუთვნი! მე ვეკუთვნი მთელ ერს! ფულს კი არ ვემსახურები, არამედ სცენას, ჩემს რწმენას და ვერავითარი სასყიდლით ვერავინ ვერ მიყიდის და ვერ მათქმევინებს იმას, რაც ჩემს რწმენას ეწინააღმდეგება**. ალბათ, იაშვილს „კაი გრაკხი“ აქვს მხედველობაში. მერე რა ვთქვი მე ამ პიესაში? დავანახვე თავადაზნაურობას მისი ნაკლოვანებანი, მისი გონებრივი და ზნეობრივი სიღატაკე, მისი არარაობა დღევანდელ ცხოვრებაში... **(ყვირილი, არ ალაპარაკებენ, რამდენიმე ხნის შემდეგ მესხიშვილი განაგრძობს)** – აი, თქვენ შეკრებილხართ საერთო საკითხის გადასაჭრელად. აქ ზევრი წინააღმდეგია დღევანდელი ბიუროკრატიული წეს-წყობილების და კიდევ გამოსთქვამს თავის აზრს, მე წინააღმდეგი ვარ, მაგრამ მე აქ ლაპარაკის ნება არ მაქვს, საპასუხო სიტყვასაც კი არ მანებებენ: მე კი, რა შემიძლია გითხრათ თამამად: თავადაზნაურობამ დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა, იგი თავისი საქციელით ხშირად წინააღმდეგია დღევანდელი მოძრაობისა, იგონებს რაღაც უმნიშვნელოს და ვიწრო საშუალებებს და ფიქრობს ამით განმათავისუფლებელი წინსვლა შეაჩეროს... თქვენ თუ კავშირი და მოქმედება გინდათ, შეუერთდით ხალხს საერთო მტრის წინააღმდეგ გასალაშქრებლად, – აი ნამდვილი და უებარი წამალი. სამი დღე კრებები იმართება და ყვირილის და არეულობის მეტი არაფერი გაგიკეთებიათ, ეს თქვენი თხოვნები და პეტიციები ერთ გროშადაც არა ღირს, ყველაფერი ფუჭია. აი, ამას გეუბნებით მე დღეს აქ, ამას გეტყვით მე ყოველთვის იქ, სადაც ჩემი ნამდვილი ასპარეზია, სადაც წმინდა მოვალეობა მიმიწევს, – აი, ამ სცენაზე... ახლა ხომ ხედავთ. **რა ძლიერი ყოფილა აქედან წარმოთქმული სიტყვა, როგორ დაუწვავს გული ზოგიერთისათვის. დიაღ, ეს სიტყვა ყოველთვის ძლიერი ყოფილა და იქნება, ვიდრე თქვენი უსუსური ლაპარაკი, მესხიშვილი კიდევ შეგაკრებინებთ ფულს, როცა მართალი სიტყვის გაგონება მოგინდებათ სცენიდან.**

...და მესხიშვილის აგოგოქრებული ზევსური სახეც მოსწყდა ტრიბუნას, შეწყდა აპოლონის მეტყველება.

* * *

რომ იცოდეთ, რამდენი სიძლიერე და სილამაზე იყო ამ მართლაც სილამაზის მატარებელ ადამიანში. ახლაც მგონია, ახლაც მესმის მისი ხავერდოვანი ხმა, რომელმაც ასეთი სიძლიერით იცოდა უსაზღვრო გულისწყრომის აღმონთხევა... არა მგონია, რომ ქართველ თავადაზნაურობას ამაზე საშინელი სიტყვა მოესმინოს თავისი ისტორიის სამარცხვინო გზაზე.

**ათასჯერ მოვყოლილვარ ამ ამბავს და ყოველთვის ასე დამისრულებია:**

**– ახ, ნეტავი თქვენი თვალით გენახათ ამ დროს მესხიშვილი! ახლაც ამ სიტყვებით მივმართავ ამ სტრიქონების მკითხველს...**

* * *

**(დაიბეჭდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“, 1938 წელს (№2).**

**ჟურნალისტი შენიშნავს...**

# ყველაფერს შოუდ ნუ გადააქცევთ!

**XXI საუკუნეში იმაზე მეტი ინფორმაციის საშუალება არსებობს, ვიდრე წლების წინ იყო, თუმცა საქმე იმაშია, რომ თუკი სატელევიზიო სივრცეში არსებულ გადაცემებს დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ თითქმის ყველა ერთმანეთის იდენტურია. ამდენი არაფრის მთქმელი დილის და საღამოს შოუები, სადაც მხოლოდ ერთი და იგივე და უმეტეს შემთხვევაში მუდამ მსგავსი თემების ირგვლივ ისმის მსჯელობა, მართლა ყოვლადმიუღებელია ჩემთვის და რაც მთავარია, დამღლელია.**

უკვე დიდი ხანია, რაც თვალს ვადევნებ ქართულ სატელევიზიო შოუებს და უბრალოდ გაოცებას ვერ ვმალავ, რადგანაც იმაზე მეტი წამყვანი ზის სტუდიაში, ვიდრე მოწვეული სტუმარია. ყველაზე დიდი უვიცობა იცით, კიდევ რა არის? ეს ვითომ წამყვანები, რომელთა უმრავლესობაც მსახიობები და მომღერლები არიან, იქნებ იმაში მაინც შეთანხმდნენ, რომ ან კითხვის დასმა დააცადონ ერთმანეთს და ან პასუხის გაცემა რესპონდენტს.

ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს ტელესივრცე მსახიობებისთვის შემოსავლის წყაროდ და ფულის შოვნის საუკეთესო საშუალებად არის გადაქცეული და კიდევ ის არის გასაჭირი, რომ ყველა სატელევიზიო შოუს პროდიუსერი თუ რეჟისორი დაინტერესებულია, მხოლოდ მსახიობი ან მომღერალი „დაასაქმოს“ საკუთარ გადაცემაში.

სწორედ ასეთი ადამიანები უკარგავენ ინტერესს ჩვენს ახალგაზრდებს, შეასწავლონ ტელეჟურნალისტიკის პროფესია.

**თუკი მაინცდამაინც ყველა გადაცემა მსახიობმა ან მომღერალმა უნდა წაიყვანოს, რისთვისაა საჭირო ჟურნალისტიკის სწავლება, მისი საფუძვლიანი პრინციპებისა და წესების გააზრება? აი, მსახიობებისა და მომღერლების „სიცელქესა და სიშტერეზე“ ხომ ლაპარაკიც ზედმეტად მიმაჩნია. უბრალოდ, უყურეთ, თვალი ადევნეთ დღევანდელ სატელევიზიო შოუებს და მიხვდებით, რაზეც ვწუხვარ. მართლაც სირცხვილია ეს ყოველივე. იქნებ მეტი ეფიქრათ, ვიდრე ფულს იშოვიან, დაფიქრებულიყვნენ, ყველაფერს მართლა მხოლოდ არაფრისმთქმელ შოუდ ნუ გადააქცევენ.**



**ნატო მელიქიძე,**
**გაზეთ „ბორჯომის“ ჟურნალისტი**

# აფხაზეთში ზღვის ფრინველებისა და დელფინების მასობრივი დაცემა გრძელდება



**მეორე თვეა, აფხაზეთში შეშფოთებულები არიან ზღვის გარეული იხვის – „ჩომგას“ მასობრივი დაცემით. ადგილობრივთა აღქმით, ვითარება ეკოლოგიური კატასტროფის მასშტაბებს იძენს. სოცქსელების აფხაზური სეგმენტი გადავსებულია მკვდარი ფრინველების ფოტოებით, თავად დაცემულ იხვებს კი უკვე ასეულობით ითვლიან.**

მიუხედავად იმისა, რომ პროცესი მეორე თვეა, გრძელდება, მიზეზი ამ დრომდე უცნობია. ჯეროვან განმარტებებს აფხაზეთში ვერც ეკოლოგები იძლევიან, ვერც ბიოლოგები, ვერც ზოოლოგები. დე-ფაქტო ხელისუფლება მოსახლეობას არწმუნებს, რომ ექსტრაორდინარული არაფერი ხდება. ექსპერტებისა და მმართველი გუნდის მსგავსი პოზიციები კი დიდ სივრცეს ტოვებს სხვადასხვა ვერსიებისა და ჭორებისთვის.

**ერთ-ერთი პირველი ვერსია მეზღვაურების მიერ წყლის ამიაკით დაბინძურებაში მდგომარეობდა. მის მხარდამჭერებს არგუმენტად ამასწინათ გიჯვინთის აკვატორიაში ერთ-ერთ თევზმჭერ სეინერზე სამი თურქი მეზღვაურის ამიაკით მოწამვლის ფაქტი მოჰყავთ. ტრაგიკულმა შემთხვევამ აფხაზეთში თევზჭერის დარგში არსებულ პრობლემებს კიდევ ერთხელ მიაპყრო საზოგადოების ყურადღება.**



დე ფაქტო ხელისუფლებას სფეროში წესრიგის დამყარება და თევზმჭერი სეინერების შემოწმება მოსთხოვეს. ადგილობრივები იმაზე მიუთითებენ, რომ თევზჭერის დარგი მთლიანად კორუფციაშია ჩაფლული და სეინერები მნიშვნელოვნად აჭარბებენ ხამსის ჭერის დადგენილ კვოტებს. ზევრმა იეჭვა, რომ ხსენებული ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ დაწყებული შემოწმებების გამო სხვადასხვა სეინერებზე მყოფმა მეზღვაურებმა წყალში საშიში ქიმიკატები და ნარჩენები ჩაღვარეს, რამაც ხამსის მასობრივი მოწამვლა გამოიწვია, შედეგად კი – ზღვის ფრინველებისაც, რომლებიც თევზით იკვებებიან.

**კიდევ ერთი ვერსია ფრინველების რაღაც ახალი ვირუსით შესაძლო ინფიცირებას ეხება. მაგრამ სოხუმში მისი გადამოწმება ვერ მოხერხდება: რუს ორინტოლოგ ალექსანდრე დვორეცკის განმარტებით, ლაბორატორია, რომელიც ფრინველების კვდომის ზუსტ მიზეზებს დაადგენდა, არც აფხაზეთში აქვთ, არც სოჭში.**

მიზეზების გარკვევის რეალური სურვილი რომ გააჩნდეთ, სოხუმს შეეძლო, დახმარეისთვის მიემართა თბილისისთვის, სადაც რეგიონის მასშტაბით საუკეთესო, მაღალი დონის თანამედროვე ლაბორატორია ფუნქციონირებს. თუმცა პოლიტიკური კონიუნქტურის გამო ლუგარის ცნობილი ლაბორატორიის მომსახურებით სარგებლობის უფლებას საკუთარ თავს ვერც აფხაზები მისცემენ, ვერც რუსები.

**არადა, ამასობაში ვითარება მძიმდება. ბოლო დღეებში გაჩნდა ინფორმაცია, რომ აფხაზეთში ზღვის გარეული იხვის კვალდაკვალ თოლიებისა და დელფინების მასობრივი სიკვდილიანობაც დადასტურდა. ამასთან, გაფართოვდა ეკოკატასტროფის არეალიც: ახლა ფრინველები და დელფინები მეზობელ კრასნოდარის მხარეშიც იხოცებიან. რუსული რეგიონის მცხოვრებლები სანაპიროზე გადაღებულ შესაბამის ფოტოებსა და ვიდეოებს სოცქსელებში აქვეყნებენ. რუსული მედია კი იუწყება, რომ ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში სოჭის, ანაპის, ტუაფსეს რაიონის, გელენჯიკისა და ნოვოროსიისკის აკვატორიებში 600-მდე დაღუპული იხვი აღმოაჩინეს.**

რუსეთის ხელისუფლება ირწმუნება, რომ ეს სიცივით, დასუსტებულობითა და შტორმით – ანუ ბუნებრივი მიზეზებითაა გამოწვეული და განგაშის საფუძველი არ არსებობს.

იმავეს ამტკიცებენ სოხუმშიც. ეკოლოგიის ადგილობრივი ინსტიტუტის დირექტორ რომან დბარის განცხადებით, ზამთრის პერიოდი ყველაზე მძიმეა ცხოველებისათვის და მათგან პირველ რიგში ხნიერები, დასუსტებულები ან დასნებოვნებულები იხოცებიან. მისივე შეფასებით, ფრინველების დაცემა, რომელიც მეორე თვეა, გრძელდება, ჩვეული მოვლენაა, იმის მიუხედავადაც კი, რომ დაღუპულთა რაოდენობამ უკვე რამდენიმე ასეულს გადააჭარბა და ბოლო დროს იხვებს დელფინებიც შეემატნენ.

**ვითარებას ამძიმებს ისიც, რომ რუსეთისგან განსხვავებით, აფხაზეთში მკვდარი ფრინველებისა და დელფინების გვამები ჯეროვნად არ გააქვთ, ისინი სანაპიროზევე იხრწნებიან და ჯერ კიდევ ჯანსაღი სხვა ცხოველების საკვებად იქცევიან.**

**თუ მასობრივი დაცემის მიზეზი არაბუნებრივია, არამედ რაიმე დაავადება, ამან შეიძლება, არაპროგნოზირებადი და უმძიმესი შედეგები გამოიწვიოს, მათ შორის – ადამიანებისთვისაც. ამდენად, აფხაზეთის ბევრი მცხოვრები პრობლემისადმი დე ფაქტო ხელისუფლებისა და ადგილობრივი მეცნიერების ზედაპირულ მიდგომას არ იზიარებს.**

კოლუმნისტი ალექსეი ლომია ირწმუნება, რომ ზღვის ფრინველების ესოდენ მასშტაბური დაცემა აქამდე არასოდეს უნახავს. **„ამ ადამიანების განათლებისა და სამეცნიერო ხარისხებისადმი ღრმა პატივისცემის მიუხედავად, მათი კომენტარები სულაც არ მაკმაყოფილებს. მით უფრო, როცა გვამშვიდებენ იმით, რომ მსგავსი რამ საკმაოდ ხშირად, რამდენიმე წელიწადში ერთხელ ხდება. აი, ამ კუთხით შემიძლია, ვედავო. მთელი ცხოვრება ზღვის სანაპიროზე მაქვს გატარებული, მკვდარი ფრინველებიც მინახავს, მაგრამ ამ რაოდენობით – არასოდეს“** – წერს აფხაზი ბლოგერი.

**რაჟდენ ქაჯაია**



მემკვიდრეობით – კოლეგა

**როცა „ლელოს“ ლეგენდარული რედაქტორისა და საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის მესაძირკვლის მიხეილ კაკაბაძის სახელობის პრემიის ლაურეატი გავხდი, მოლოცვებს შორის, ასეთმაც გაიჟღერა — ჩათვალე, რომ როგორც საუკეთესო ფეხბურთელს, უეფამ ოქროს ბურთი მოგანიჭაო.**

**დამეთანხმებით, განსაკუთრებული დაფასება და შეფასებაა, თუმცა არანაკლებ საამაყოდ მესახება სამაგალითო წინამორბედის ვაჟთან, კალმოსანთა საძმოს ღირსეულ წევრთან დავით კაკაბაძესთან დაახლოებით 30 წლის წინათ დაწყებული კოლეგიალური ურთიერთობა, რომელიც სათავეს ავსტრიაში პროფესიული მოვალეობის შესრულებისას იღებს. სწორედ მაშინ გავიცანით ერთმანეთი, ინსბრუკში „ტიროლისა“ და თბილისის „დინამოს“ მატჩის გაშუქებისას იქაური სტადიონის პრესლოჟაში, სადაც ჩვენი გაზეთის დღევანდელი სტუმარი ევროტურნირის ეგიდით გამართულ ქართველ ძმაგთათვის მწარედ გასახსენებელ შეხვედრას რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტის სტატუსით ესწრებოდა. სხვათა შორის, აღნიშნულ თამაშს გერმანიაში საქართველოს ელჩი კოტე გაბაშვილი და ერთ-ერთ საერთაშორისო ორგანიზაციაში ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელი, ავღანელთა კავშირის თავკაცი ნოდარ გიორგაძეც ესწრებოდნენ.**

**ეს, ასე ვთქვათ, რაც შეეხება უშუალოდ გაცნობას, თორემ დაუსწრებლად ბატონი დავითის მიმართ დადებითი შთაბეჭდილება მანამდე შემექმნა, როცა მის მიერ თბილისის „დინამოს“ 1981 წლის ევროპულ ტრიუმფში შეტანილ წვლილზე საგაზეთო პუბლიკაციიდან შევიტყვე.**

**საუბარია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ალმა მატერში სწავლის პერიოდზე, როცა წარჩინებული სტუდენტი გაცვლითი პროგრამით დაძმობილებულ იენის განთქმულ უნივერსიტეტში გახლდათ მივლინებული და გერმანიაში ტიტულამდე 3 წლით ადრე, 1978 წელს გამგზავრებამდე მამის მეგობარმა, დიდმა მაესტრომ ნოდარ ახალკაცმა იქაური კლუბების შესახებ ინფორმაციის მოძიების მიზნით „კარლ ცაისის“ თამაშებზე დასწრება და კონსპექტის სახით შეგროვება თხოვა.**

**ბუნებრივია, ზემოთ დასახელებული ფაქტები უკვე საკმარისი მიზეზია საიმისოდ, რომ დღევანდელი ინტერვიუს წასაკითხავად გამონახოთ დრო, მაგრამ არის კიდევ ერთი გარემოება, რამაც ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანა დამაჩქარებინა.**

**როგორც მოგეხსენებათ, 21 მარტს თბილისში ყოფნა-არყოფნის ტოლფას ბრძოლაში ლუქსემბურგს ვუმასპინძლებთ და ევრო — 2024-საკენ ბოლოსწინა ნაბიჯი უნდა გადავდგათ, ისტორიული მოვლენის პრიზმაში კი დასავლური სამყაროს უკეთესად მცოდნის გამოძებნა არა მგონია ძნელი იყოს.**

**ასე რომ, სავსებით ლოგიკურია, დიალოგს მოახლოებული საინფარქტო მატჩით რომ ვიწყებთ.**

# თავისუფლებასთან წილნაყარი

– ჩვენი თაობა განებივრებულნი ვიყავით დიდი წარმატებებით და თითქმის ყველასთან ფავორიტებად ვითვლებოდით, ამიტომ მიჭირს დაჯერება, რომ ლუქსემბურგმა შეიძლება პრობლემები შეგვიქმნას, მაგრამ მეორე მხრივ ფაქტია, რომ საერთო დონე თანდათან გათანაბრდა, და არა მარტო ფეხბურთში (მაგალითად, ესპანეთმა საკალათბურთო შესარჩევი ციკლი ორი მარცხით დაიწყო). მოკლედ, მეტოქეს სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ. ისე, რბილად რომ ვთქვათ, უკვე მერამდენედ, არც ფეხბურთის ფედერაციაა მთლად უცოდველი შექმნილ ვითარებაში. ალბათ, მიხვდით, რომ კვარაცხელიას საზედისწერო ყვითელ ბარათთან დაკავშირებით შექმნილ ვითარებას ვგულისხმობ, რის გამოც იგი პარტნიორებს დააკლდება.

**– საინტერესოა ხვიჩას თქვენეული შეფასება.**

– ქინქლაძის შემდეგ მსგავსი მონაცემები არავის ჰქონია. სწორედ მან გააღვიძა ფეხბურთისადმი ეროვნული ინტერესი და ბავშვებში სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობის ბუმი გამოიწვია. ნურც ტრიუმფალური სეზონის შემდეგ გარდაუვალი ჩავარდნის შედეგად გადატანილ წნეხს დავივიწყებთ. ბედნიერი ვარ, რომ ნაპოლის ტრიუმფს შევესწარი და უშუალოდ იტალიაში ვნახე, რას ნიშნავს ნეაპოლისთვის ფეხბურთი, სკუდეტო და კვარა.

**– ალბათ, განსაკუთრებულია პირველი სამსახურის გახსენება.**

– მართალი ხარ – არჩილ გოგელიამ მიმიღო პირველ ქართულ სპორტულ ჟურნალ „მართვეში“. სხვათა შორის, „ისინდის“ სახელწოდებით ასეთივე გამოცემის შექმნის პროექტის განხორციელებამდე 60-იან წლებში ცოტა დააკლდა მამას – უკვე ხარჯთაღრიცხვაც კი შედგენილი ყოფილა, მაგრამ მოსკოვმა უარი შემოთვალა. 1984 წელს აჩიკომ მთელი რედაქცია „ლელოში“ გადაგვიყვანა და იქ საერთაშორისო სპორტის განყოფილების გამგედ დამნიშნა. დაუვიწყარ მოვლენად მივიჩნევ იმ დღეს, როცა პირველი დავალება მომცეს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის მატჩის რეცენზირების თაობაზე. ისიც სათქმელია, რომ თუ ჟურნალი „მართვე“ „სკოლა და ცხოვრების“ დამატებას წარმოადგენდა, „ლელომ“ ახალი რედაქტორის თავკაცობით სულ სხვა დატვირთვა შეიძინა. კერძოდ, სწორედ არჩილ გოგელიამ დაამსხვრია სტერეოტიპი ოპერატიულობის თვალსაზრისით. დიახ, თუ ადრე გაზეთი დასაბეჭდად სტამბაში 20 საათსა და 45 წუთზე აუცილებლად უნდა გადაეგზავნათ, ჩვენთვის დროში შეზღუდვა არ არსებობდა და ხშირად ღამეებს ვათენებდით.

**– გულშემატკივარს საკავშირო პრესასთან თანამშრომლობითაც ახსოვხართ.**

## სადარბაზო ბარათი

**დაიბადა 1959 წელს (ილიმის — წლეულს საპენსიო ასაკი მისრულდება). დაამთავრა დედაქალაქის 53-ე საშუალო სკოლა და თსუ-ს დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურების ფაკულტეტის გერმანული განყოფილება. იენის დამეგობრებულ უნივერსიტეტში ორწლიან გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის შემდეგ დიპლომი თბილისში აიღო.**

– დიახ, 1987 წელს გარუნ აკოფოვის პენსიაზე გასვლის შემდეგ შემომთავაზეს „სოვეტსკი სპორტის“ კორესპონდენტობა საქართველოში და მეც დავთანხმდი. მალევე მოხდა სადებიუტო „ჩეპეც“: თბილისელ და მოსკოველ თანაკლუბელთა შეხვედრის გაშუქებისას არ მოვერიდე ობიექტური სურათის დახატვას და კრიტიკაც დავიმსახურე ზოგ-ზოგიერთთაგან, მაგრამ, გარდა იმისა, რომ უპირველესად საკუთარ პროფესიულ სინდისთან ვიყავი პირნათელი, თვით ნოდარ ახალკაცსაც კი ერთი სასაყვედურო სიტყვაც არ დასცდენია. ბუნებრივია, სისხლიან 1989 წელს ჩემს საკავშირო მოღვაწეობას წერტილი დავუსვი, თუმცა ვაღიარებ, რომ ორწლინახევრის განმავლობაში ძვირფასი გამოცდილება შევიძინე და თსუ-ში სპეციალობით განვაგრძე საქმიანობა.

**– და აი, მივადექით თქვენი ჟურნალისტური ბიოგრაფიის ჩემი, როგორც რიგითი თანამედროვის აზრით, საკვანძო მარათონულ პერიოდს.**

– მანამდე მოხდა ისე, რომ 1990-ში მოვიპოვე კონრად ადენაუერის სტიპენდია და დისერტაციის დასაწერად კიოლნში გავემგზავრე. გადის 3 წელიწადი, მირეკავს საბჭოთა კავშირიდან გაქცეული ჩემი ძველი მეგობარი ბიძინა რამიშვილი და მეუბნება – რადიო „თავისუფლებაში“ ვაკანსია გაჩნდა და საბუთები შემოიტანეო. უკვე ჩემოდნებჩალაგებული კიოლნიდან თბილისის ნაცვლად ოჯახით მიუნხენში აღმოვჩნდი, სადაც 2005-დან 2018-მდე რადიოს ქართულ სამსახურს ვდირექტორობდი. ცხოვრება რომ სიურპრიზებითაა სავსე, ერთი ფაქტიც მოწმობს: ევრო – 1988-ზე გერმანიაში მყოფებმა მე და დავით ქლიბაძემ გადავწყვიტეთ გაგვერისკა რადიო „თავისუფლების“ გალავანშემოვლებულ შენობასთან მიახლოება, სადაც მანამდე გახმაურებული ტერაქტი მოხდა. დანიშნულების პუნქტამდე აკანკალებულებმა მივაღწიეთ – მოგეხსენებათ, საკავშირო უშიშროებას რამხელა საცეცები ჰქონდა. ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ სულ რაღაც 5 წელიწადში სწორედ იქ ჩავუშვებდი ღუზას.

**– თავისუფლების სიოს დაბერვის შემდეგ როგორ განვითარდა მოვლენები?**

– სსრკ-ს დაშლის შემდეგ ამერიკელ კონგრესმენთა ნაწილმა რადიოს მისია შესრულებულად ჩათვალა, მაგრამ საბედნიეროდ აღმოჩნდნენ ისეთებიც, ვინც უპირატესობა ახალი დემოკრატიის ქვეყნებს მიანიჭა და ორი მესამედით შემცირებული ბიუჯეტით (210 მილიონის ნაცვლად – 70 მილიონი) მათი ძალისხმევით მაუწყებლობა პრაღიდან განვაგრძეთ.

**– ზემოთ აღნიშნეთ, რომ უმნიშვნელოვანესი ეტაპი 2018 წელს დასრულდა. შემდეგ?**

– სამშობლოში დაბრუნებული ახალდაარსებულ ააიპ „მედიააკადემიას“ ვხელმძღვანელობდი, ხოლო 2021 წლიდან გამომცემლობა „სიესტას“ მთავარი რედაქტორი გახლავართ. უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, საგამომცემლოსთან ერთად ამჟამად ძირითადად მთარგმნელობით საქმიანობასაც ვეწევი – გერმანულიდან, აგრეთვე ჩეხურიდან გადმოვაქართულე ვაცლავ ჰაველის პიესა „წასვლა“. რაც შეეხება ჯერჯერობით ბოლო ღონისძიებას, თებერვალში მოეწყო ახალგაზრდა უკრაინელი ავტორის, თავადაც პატრიოტი მეომრის არტემ ჩეხის დოკუმენტური მოთხრობების წიგნის „ნულოვანი წერტილის“ პრეზენტაცია. ასე რომ, მოსაწყენად არ მცალია.



მიხეილ (კუწა) და დავით კაკაბაძეები

**– ჩვენი დიალოგი სრულყოფილად ვერ ჩაითვლება, მამა-შვილობის მადლსაც თუ არ შევეხეთ, მით უმეტეს – ერისკაც მიხეილ კაკაბაძის ფაქტორს.**

– გიპასუხებთ რამდენიმე ამონარიდით პაატა ნაცვლიშვილის რედაქტორობით გამოცემული წიგნიდან „მომავლის ქართველის გახსენება“: „ბედნიერია, ვინც საკუთარ მამას ხალისით მოიგონებსო, – უთქვამს გოეთეს. მასვე ჩაუწერია დღიურში, მეხსიერება თუ გაქვს, ნურავისი შეგშურდებაო.

არ გეგონოთ, არ ვიცოდე, რომ გაკვალული ბილიკით სიარული სატრაბახო არ არის, მაგრამ ჩემი მხრიდან თვალთმაქცობა იქნებოდა იმის დამალვა, რომ პროფესიული საქმიანობის თითქმის ყველა ეტაპზე მამაჩემის დატოვებული სახელი და საქმე სიარულს მიადვილებდა. ასე რომ, გაკვეთილები გრძელდება.“

**– და ბოლოს: შთამომავლობა და ოჯახური ტრადიცია.**

– ამ მხრივ ვერაფრით გაგახარებთ: ჩემი ვაჟი სტოკჰოლმში რელიგიათმცოდნეობის შესწავლითაა დაკავებული, ხოლო ქალიშვილს ჰამბურგში ფოტოების გადაღება იტაცებს. ისინი თვითონ ინახავენ თავს.

ესაუბრა
**გია პლატონიშვილი**

კარატე

# უკვე - პრემიერლიგაში

**კულტურის და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით სპორტული კარატეს ნაკრებმა პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირზე პრემიერლიგაში მონაწილეობის უფლება ისტორიაში პირველად მოიპოვა.**

ანტალიაში ჩვენი ნაკრები ორგზის მსოფლიო ჩემპიონის და მთავარი მწვრთნელის **გოგიტა არქანიას** მეთაურობით ხუთი სპორტსმენის: დავით ტყებუჩავას, ლუკა ვასაძის, ვალიკო ფონიავას, ხვიჩა კიპაროიძის და მერაბ გელაშვილის შემადგენლობით იყო წარმოდგენილი. ტურნირამდე ჩვენმა ნაკრებმა საწვრთნელი კემპი სტამბოლში გაიარა, სადაც აღნიშნული სპორტის სახეობის გამორჩეულ წარმომადგენლებთან ერთად ემზადებოდა.



დოპინგი

**ქართველი ძიუდოისტი ლუკა მაისურაძე ერთი წლით დისკვალიფიცირებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ პარიზის ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობის შესაძლებლობა არ ექნება.**



# მწარე გაკვეთილი

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს ანტისადოპინგო სააგენტო აჟღერებს, რომელმაც ოფიციალური განცხადება გაავრცელა.

ლუკა მაისურაძე 2023 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, მაგრამ დოპინგტესტი, რომელიც ქართველმა ძიუდოისტმა ჩააგდო, სწორედ მსოფლიოს ჩემპიონატამდეა აღებული, შესაბამისად, შეუნარჩუნდება თუ არა მას მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული, უცნობია.

# ნასამართლევი მოქალაქე ისევ დააკავეს

**საქართველოს პროკურატურამ ცხოველის მიმართ სასტიკი მოპყრობის ფაქტზე, რამაც მისი დასახიჩრება გამოიწვია, ასევე, ნარკოტიკული საშუალების და საბრძოლო მასალის უკანონო შენახვისთვის, ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 13 მარტს, ქალაქ თეთრიწყაროში, წარსულში ნასამართლევმა და პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფმა პირმა, ქუჩაში ძაღლის ყეფით




გაღიზიანების ნიადაგზე, შურისძიების მოტივით, ცხოველი ცულის დარტყმით დაასახიჩრა. იმავე დღეს, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლიდან სამართალდამცველებმა უკანონოდ შენახული დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება – 130.6 გრამი გამომშრალი მარიხუანა და საბრძოლო მასალა ამოიღეს.

ბრალდებული 13 მარტს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილით (განზრახ დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირის მიერ ცივი იარაღის ტარება), 259-ე მუხლის პირველი ნაწილით (ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობა), 273-ე პრიმა მუხლის მეხუთე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით (მარიხუანის უკანონო შეძენა და შენახვა, ჩადენილი დიდი ოდენობით, არაერთგზის) და 236-ე მუხლის მესამე ნაწილით (საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 3-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# იტალიაში, სუნამოების ქურდობისთვის 29 წლის ქართველი გამოიჭირეს!

**ადგილობრივი მედიის ცნობით, 29 წლის ქართველმა ერთ-ერთი სავაჭრო ცენტრიდან 6 შეკვრა ძვირადღირებული სუნამო მოიპარა და ადგილიდან მიმალვა სცადა, თუმცა სავაჭრო ცენტრის დაცვამ დააკავა და პოლიციას ჩააბარა.**

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ქართველს ჭკვიანი სათვალე ეკეთა, რომლითაც შემდეგ გასაძარცვ მაღაზიებს იღებდა. ცნობილია, რომ ის ეჭვმიტანილია იმავე სავაჭრო ცენტრში 10 დღის წინ ჩადენილ ქურდობაზეც.

პოლიცია არ გამორიცხავს, რომ ქართველს შესაძლო თანამზრახველები ჰყავდეს. საქმეზე გამოძიება გრძელდება.

# 12 წლის ანას ბურუსით მოცული გარდაცვალების გამოძიება დარღვევებით მიმდინარეობს

**სახალხო დამცველი ფიქრობს, რომ დიდ დიღომში გარდაცვლილი 12 წლის ანას საქმის გამოძიება დარღვევებით მიდის. სკოლის მოსწავლის ბურუსით მოცული სიკვდილიდან ერთი წლის თავზე, ლევან იოსელიანის აპარატს კრიტიკული დასკვნა „უფლებები საქართველომ" გადაუგზავა. დოკუმენტში წერია, რომ გამოძიების პროცესში შეცდომებია დაშვებული.**

ომბუდსმენის მოსაზრებით არსებობს გარემოებები, რომელმაც ეფექტურ გამოძიებას ხელი შეუშალა. სახალხო დამცველმა მოამზადა დასკვნა. ეს დასკვნა რამდენიმე დღის წინ გამოგვიგზავნა „უფლებები საქართველოს" და დასკვნაში მიუთითა, რომ 12 წლის ანი იანუშაიტიტეს მიმართ შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტზე მიმდინარე გამოძიება ვერ აკმაყოფილებდა ეფექტიანი გამოძიების სტანდარტს. დასკვნაში წერია: **მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება ერთ-ერთ ვერსიად განიხილავს ანი იანუშაიტიტეს მიმართ სექსუალური ხასიათის დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტსაც, გამოძიების მიერ, გვამის აღმოჩენის შემდეგ, შემთხვევის ადგილის ახლომახლო მდებარე დამალული ადგილი საერთოდ არ იქნა დათვალიერებული, სადაც არასრულწლოვანის ყოფნა ჩვეულებრივ გარემოებებში ნაკლებად სავარაუდო ან საერთოდ გამორიცხული იყო",** – ამბობს „უფლებები საქართველოს" იურისტი.

12 წლის ანას დედა კი საქმეში კვალიფიციურ გამომძიებელთა ჯგუფის ჩართვას ითხოვს.

ერთი გამომძიებელი ამ საქმეს არ ჰყოფნის. საჭიროა კვალიფიციური გამომძიებლების ჯგუფი, რათა დროულად შეასრულონ ის საგამოძიებო სამუშაო, რაც საჭიროა იმ კონკრეტულ მომენტში და არა ერთი წლის შემდგომ" – ამბობს 12 წლის ანას დედა. 12 წლის ანას ოჯახი, უკვე წელზე მეტია ამბობს, რომ ტრაგედიის ღამეს, ექსპერტ-კრიმინალისტებმა არაეფექტურად იმუშავეს, რის გამოც დამნაშავის დაკავება ამ დრომდე ვერ მოხერხდა. 2023 17 მარტს დიდ დიღომში, პეტრიწის ქუჩაზე 12 წლის ანა იანუშაიტიტე გარდაცვლილი იპოვეს. ოჯახი აცხადებს, რომ გოგო მოკლეს, რადგან მას სხეულზე დაზიანებები ჰქონდა.

# თბილისში 7 ადამიანი შაურმით მოიწამლა!

ინფორმაციას სურსათის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

**„შაურმაში აერობული მიკროორგანიზმები გამოვლინდა. სურსათის ეროვნულმა სააგენტომ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან მიიღო შეტყობინება კლინიკურად დადასტურებული საკვებისმიერი ინტოქსიკაციის ჯგუფური შემთხვევის შესახებ. ეპიდემიოლოგიური კვლევით დადგინდა, რომ შვიდმა ადამიანმა საკვებად მიიღო საშაურმე „დონ ჩიჩოს" მიერ წარმოებული შაურმა.**

**შეტყობინების მიღებისთანავე, სააგენტოს თბილისის საქალაქო სამსახურის უფლებამოსილმა პირებმა საშაურმეში (შპს „დონ ჩიჩო 2007", ს/კ 405668004; მის: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას №59) სახელმწიფო კონტროლი (არაგეგმური ინსპექტირება) განახორციელეს. საწარმოში კრიტიკული შეუსაბამობები არ დადასტურებულა, არაკრიტიკულ შეუსაბამობებზე კი გაიცა მითითებები გონივრული ვადის გათვალისწინებით.**

**გარდა ამისა, სააგენტოს ინსპექტორებმა, ლაბორატორიული კვლევის მიზნით, აიღეს სხვადასხვა სახის სურსათის ნიმუში (ქათმის შაურმა, ქათმის შაურმისთვის განკუთვნილი შემწვარი ხორცი, სალათის ფოთოლი (გარეცხილი, დაჭრილი) და გაყინული ქათმის ბარკალი.**

**ლაბორატორიიდან მიღებული დასკვნის თანახმად, გამოვლინდა მიკრობიოლოგიური დარღვევები, კერძოდ: ქათმის შაურმა და შაურმისთვის განკუთვნილი ქათმის შემწვარი ხორცი დაბინძურებული იყო მეზოფილურ-აერობული და ფაკულტატურ-ანაერობული მიკროორგანიზმებით; ასევე აღმოჩნდა კოაგულაზა დადებითი სტაფილოკოკი და კოლიფორმები. კოლიფორმები გამოვლინდა სალათის ფოთოლშიც. საკვებისმიერი მოწამვლა არის დაავადება, რომელიც გამოწვეულია დაბინძურებული სურსათის მიღებით, უმეტეს შემთხვევაში, სურსათი დაბინძურებულია ბაქტერიებით ან ვირუსებით",** – ნათქვამია ინფორმაციაში.

# ეგვიპტისა და ერაყის მოქალაქენი ყალბ ვალუტას ასაღებდნენ

**სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიდი ოდენობით ყალბი ვალუტის შენახვისა და გასაღების ფაქტზე ეგვიპტისა და ერაყის 2 მოქალაქე დააკავეს.**

გამოძიებით დგინდება, რომ საქართველოში დროებით მცხოვრებმა ეგვიპტისა და ერაყის მოქალაქეებმა 2024 წლის 14 მარტს უკანონოდ გაასაღეს ყალბი 9 600 აშშ დოლარი, რა დროსაც ისინი ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით ყალბი ვალუტის შენახვისა და გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა" და „გ" ქვეპუნქტებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 10 წლამდე ვადით. გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს. გამოძიების მიმდინარეობისას შესაძლოა გაფართოვდეს დამნაშავე პირთა წრე.





# უნიკალური ოპერაცია პირველ სამედიცინო ცენტრში

**საქართველოში 111 წლის პაციენტს მენჯ-ბარძაყის სახსრის ენდოპროტეზირება წარმატებით ჩაუტარეს.**

**„111 წლის ქალბატონ ნინას ჩვენს კლინიკაში წარმატებით ჩაუტარდა მარცხენა მენჯ- ბარძაყის სახსრის ენდოპროტეზირება. პაციენტს ვუსურვებთ ჯანმრთელობას და კიდევ დიდხანს სიცოცხლეს!!! რეანიმაცია, ტრავმატოლიგია და ანესთეზიოლოგია, ჩვენ ერთი გუნდი ვართ,"** – აღნიშნულია პირველი სამედიცინო ცენტრი ინფორმაციაში.

# საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ბუმი

**გლდანის რაიონის გამგეობა საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოების ფარგლებში, სოფელ გლდანში – ყაზბეგის, ჩოლოყაშვილისა და თავდადებულის ქუჩებს აწესრიგებს.**

**ყაზბეგის ქუჩაზე 1 550 კვადრატულ მეტრამდე ფართობზე გზის საფარი წესრიგდება, რისთვისაც დაახლოებით, 455 000 ლარი დაიხარჯება. ჩოლოყაშვილის ქუჩაზე კი, 1 200 კვადრატულ მეტრ ფართობზე მოეწყობა ასფალტის საფარი. აღნიშნულისთვის დაახლოებით, 83 000 ლარი დაიხარჯება. საგზაო სამუშაოები მიმდინარეობს დემეტრე თავდადებულის ქუჩაზეც, სადაც 1 000 კვადრატულ მეტრამდე ფართობზე ბეტონის გზა დაიგება. სამუშაოებისთვის დაახლოებით, 80 000 ლარი დაიხარჯება.**

* * *

**კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე და საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად სოფლების ფერმა – ჩანგილარის დამაკავშირებელი გზის ასფალტ-ბეტონის საფარის დაგების სამუშაოებს გაეცნენ. 1 000 გრძივი მეტრი გზის სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს „ჩაგელა" ახორციელებს.**

* * *

**ოზურგეთში საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება გრძელდება – დოლიძის ქუჩაზე მერიის დაფინანსებით გზის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს. მიმდინარე სამუშაოებს ოზურგეთის მერი ავთანდილ თალაკვაძე მოადგილესთან, გიორგი ღურჯუმელიძესთან ერთად გაეცნო.**



* * *

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ, გურიაში სახელმწიფო რწმუნებულთან გიორგი ურუშაძესთან და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერთან ალექსანდრე სარიშვილთან ერთად, გრიგოლეთი-ქობულეთის გზის 3-კილომეტრიანი მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოები მოინახულა. უმნიშვნელოვანესი დასკვნითი სამუშაოები მიმდინარეობს გრიგოლეთი-ქობულეთის გზის მონაკვეთზე. 14 კმ-იანი მონაკვეთიდან 11 კმ-ზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა უკვე გახსნილია, დარჩენილია 3 კმ-იანი კრიტიკული მონაკვეთი, რომელიც უზრუნველყოფს გრიგოლეთი-ქობულეთის მონაკვეთის პირდაპირ ბმას სამტრედია-გრიგოლეთის დასრულებულ მონაკვეთებთან. სამუშაოები ინტენსიურად გრძელდება, თუმცა, არის გამოწვევები 3 კმ-იან მონაკვეთზე, რის გამოც კონტრაქტორ და საზედამხედველო კომპანიებს მოეთხოვათ შესაბამისი მობილიზაციისა და რესურსების გაზრდა. გეგმა გულისხმობს, აღნიშნული მონაკვეთის წელს დასრულებას. შედეგად სამტრედია-გრიგოლეთი პირდაპირ დაუკავშირდება ქობულეთის შემოვლითი გზის მონაკვეთს, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვანია, როგორც ზაფხულის სეზონისთვის, ისე მოსახლეობის ყოველდღიური საჭიროებებისთვის, რათა უფრო სწრაფად, უსაფრთხოდ და კომფორტულად მოხდეს დასავლეთ საქართველოში მაგისტრალური გზებით გადაადგილება".**

**გრიგოლეთი-ქობულეთის მაგისტრალური გზის მშენებლობის პროექტი მოიცავს 14-კილომეტრიანი, 4-ზოლიანი ასფალტ-ბეტონის გზის, 22 სახიდე გადასასვლელის, 4 სატრანსპორტო კვანძის, წყალგამტარი მილების და მიწისქვეშა გასასვლელების მშენებლობას, რომელიც ევროპის საინვესტიციო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება და მისი ღირებულება 228 მილიონ ლარს შეადგენს.**

# ქუთაისს ევროპული სტანდარტების ოპერისა და ბალეტის თეატრი ექნება

**კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის მასშტაბური სარემონტო სამუშაოები გეგმა-გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს.**

პროცესს საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი იმერეთში სახელმწიფოს რწმუნებულ ზვიად შალამბერიძესთან, ქუთაისის მერ იოსებ ხახალეიშვილთან, ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ ირინე ლომინაძესთან და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორ გიორგი ვაჩნაძესა და მის მეუღლესთან, პიანისტ კიომი სუგიმურასთან, ერთად გაეცნო.



**ამ ეტაპზე დასრულებულია შენობის გადახურვა, მონტაჟდება გათბობა-გაგრილების, ვენტილაციისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები; მიმდინარეობს ელექტრომომარაგებისა და სუსტი დენების სამონტაჟო სამუშაოები; დაწყებულია სცენისა და საორკესტრო ორმოს ბეტონის ფილის დასხმა; „შემოქმედებით“ კორპუსში დასრულებულია ახალი კედლების ამოყვანის პროცესი; დაწყებულია გალესვის სამუშაოები; სამაყურებლო დარბაზის სავარძლები კი რესტავრაციის პროცესშია.**

2022 წლის თებერვალში სარეაბილიტაციო/სარემონტო სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისთვის გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა არქიტექტურულ-საპროექტო კომპანია შპს „ჯორჯიან ჰაუსმა“. აკუსტიკის დიზაინისა და ტექნოლოგიური ნაწილის პროექტი, „ჯორჯიან ჰაუსის“ დაკვეთით, საერთაშორისო გამოცდილების მქონე ფინურმა კომპანია „აკუკონმა“ შეიმუშავა, ქუთაისის ოპერის სარემონტო სამუშაოებს კი კომპანია „ბრიტანია ქონსთრაქშენი“ ასრულებს.

**ევროპული სტანდარტების შესაბამის ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრს, რეაბილიტაციის შემდეგ, გამოჩენილი ქართველი მხატვრის თეიმურაზ (მურაზ) მურვანიძის, შექმნილი ფარდა დაამშვენებს. სარეაბილიტაციო სამუშაოები თეატრში 2025 წლის დასაწყისში დასრულდება.**



## სიბრძნე სიცილისა...

**თქვენთვის, გასათხოვარო ქალბატონებო!**

**გახსოვდეთ, რომ ბავშვის აღზრდაში მთავარია სწორად შეარჩიო მამა!**

* * *

**ის გარემოება, რომ მედუზები, რომლებიც 650 მილიონი წლის წინათ წარმოიშვნენ და რომელთაც ტვინი საერთოდ არ გააჩნიათ, ძალიან ბევრ ადამიანს ცხოვრებაში წარმატების მიღწევის იმედს უსახავს.**

* * *

**— მამი, დაგენაცვლე, მართალია, რომ იესო ებრაელი იყო?**

**— ჰო, შვილო, მართალია! მაშინ ყველანი ებრაელები იყვნენ — დრო იყო ასეთი!**

* * *

**სექსუალური ურთიერთობების წარუმატებელ ცდებს ინდოელებმა „იოგა“ უწოდეს, წარმატებულებს კი — „კამასუტრა“.**

* * *

**— მარო, ვინ იყო ის კაცი, შენ რომ ახლა ასე ტკბილად მიესალმე? — ეკითხება დაეჭვებული ქმარი ცოლს.**

**— კაი ერთი, შაქრო, შენ მაინც ნუ დამიწყებ რაღაცების გარჩევს! ჯერ ის არ მეყოფა, იმას რომ უნდა ავუხსნა შენ ვინა ხარ!..**

* * *

**— შაქრო, გინდა ერთი-ორი პანჩური ამოგცხო?**

**— არა, არ მინდა!..**

**— არ გინდა და ნუ გინდა, აი დარდი!..**

* * *

**ზოგჯერ აუცილებლად საჭიროა მიიღო ის, რაც ძალიან გინდა, რომ ბოლოს მიხვდე, რომ ეს „რაღაც“ საერთოდ არაფერში გჭირდება.**

# აჭარის კურორტებით დაინტერესდნენ

**საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავსტრიაში, ვენაში, საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში, Ferien Messe Wien-ში მონაწილეობს. გამოფენაზე წარმოდგენილია აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი.**

გამოფენის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა ავსტრიის ტურიზმის სახელმწიფო მდივანსა და ავსტრიის ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დირექტორთან. შეხვედრას დაესწრო ავსტრიაში საქართველოს ელჩი ქეთევან ციხელაშვილი.



**„Ferien Messe Wien -ის ფარგლებში საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა შეხვედრები გამართეს ავსტრიის ეკონომიკის სამინისტროში. შეხვედრები შედგა ტურისტული მედიაგამოცემის T.A.I-სა და ტურისტული სააგენტოს, Ruefa-ს დირექტორებთან, ასევე ავსტრიის ტურიზმის ასოციაციისა და ავსტრიის ავიახაზების ხელმძღვანელ პირებთან. შეხვედრებზე საუბარი შეეხო ტურიზმის მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავებას, ტურების გამართვას და საქართველოს ცნობადობის გაზრდას ავსტრიაში. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია და აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი ავსტრიის ავიახაზებთან საქართველოში პრეს და გაცნობითი ტურის მოწყობას განიხილავენ.**

**ვენის ტურისტულ გამოფენაზე 850 კომპანია და ორგანიზაცია მონაწილეობს, გამოფენას 11 ათასი ვიზიტორი ჰყავს“.**

# ალექსანდრე როინაშვილის ფოტოები ეროვნული არქივის ვებგვერდზე გამოქვეყნდა




**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ვებგვერდზე ფოტოგრაფ ალექსანდრე როინაშვილის ფოტოკოლექცია გამოქვეყნდა.**

ალექსანდრე როინაშვილმა ფოტოგრაფის ხელოვნება თბილისში, ფოტოგრაფ ხლამოვის სალონში შეისწავლა და მისივე დახმარებით 1860-იან წლებში დედაქალაქში ფოტოსალონი „რემბრანდტი“ გახსნა. მოგვიანებით ჰქონდა ფოტოსალონები: „სასურათხატო“ და „ამხანაგობა“. ეროვნული არქივის ფოტოსაცავში, სხვადასხვა ფოტოალბომსა თუ ფოტონეგატივებზე, ალექსანდრე როინაშვილის ათეულობით ფოტო ინახება.

**კოლექციის ფოტოები გადაღებულია XIX საუკუნის 70-90-იან წლებში და მათზე ასახულნი არიან ცნობილი მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, დიმიტრი ყიფიანი, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი, ივანე მაჩაბელი, კოტე აფხაზი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები – ლეონიდე (ოქროპირიძე) და კირიონ მეორე (საძაგლიშვილი) და სხვები. კოლექციაშია, ასევე, თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა კუთხის ფოტოები; ეთნოგრაფიული შინაარსის სურათები.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 — ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 20 მარტს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6999; ევრო - 2.9402;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4432;
100 რუბლი - 2.9411; თურქული ლირა - 0.0838;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5871;
1000 სომხური დრამი - 6.6992

**ამინდი 18 მარტისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | 0, | დღე +17 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | –5, | დღე +15 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +2, | დღე +21 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | –2, | დღე +18 |
| თბილისი: | ღამე | +7, | დღე +17 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge